საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 120 (399) პარასკევი, 3 ივლისი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრის ცნობა

30 ივნისის ღამე და დილის პირველი ნახევარი ცხინვალის რეგიონში მშვიდი იყო. ორივე მხარე იცავდა შეთანხმებას.

მაგრამ როგორც ცხინვალში მოქმედი მეთვალყურეთა ოთხმხრივი პუნქტის ერთ-ერთმა წევრმა ბატონმა ბუიანოვმა განაცხადა, 12 საათსა და 30 წუთზე გორის რაიონის სოფელ ერედვიდან თითქოსდა მოხდა ორი გასროლა ცხინვალის მიმართულებით.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ სოფლიდან ეროვნული გვარდიის მძიმე საბრძოლო ტექნიკა, მორიგეების თანახმად, გაყვანილია,— განაცხადა ბატონმა ბუიანოვმა. — ამიტომ ეს ფაქტი შემოწმებას მოითხოვს.

როგორც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრს საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ხანდრო კავსაძემ აცნობა, ამ რეგიონში დისლოცირებულმა ეროვნულმა გვარდიამ შექმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელიც ამოწმებს ამ ინფორმაციას.

„ვესტის" მორიგი დეზინფორმაცია

როგორც ვიუწყებოდით, ქართველთა მხარემ ცხინვალის რეგიონიდან უკან დაიწია მძიმე ტექნიკა და არტილერია. ბოლო სამი დღის მანძილზე ცხინვალის მიმართულებით არ გასროლილა არც ერთი საარტილერიო ჭურვი.

1 ივლისს სატელევიზიო პროგრამა „ვესტიმ" და რადიოსადგურმა „მაიაკმა" კვლავ გაავრცელეს დეზინფორმაცია, თითქოს ცხინვალისთვის ქართველებს ფუგასური ჭურვები დაეშინოთ და რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები მოეკლათ, რაც მონაჭორია და მიზნად ისახავს რეგიონში დაწყებული დაძაბულობის შენელების პროცესის დაბრკოლებას. სინამდვილეში პირიქით ხდება. 1 ივლისის 24 საათამდე ცხინვალის მხრიდან ნაღმები დაუშინეს, შემდეგ კი საბრძოლო მანქანით შეუტიეს სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოს, სადაც ქართველი გვარდიელები არიან განლაგებული. ცხინვალის მხრიდან ესროდნენ აგრეთვე სოფელ ფრისს. დაიჭრა 2 გვარდიელი.

2 ივლისს შუადღიდან ოსი ექსტრემისტები ტყვიამფრქვევისა და ავტომატის ცეცხლს უშენდნენ აჩაბეთსა და თამარაშენს.

17 საათსა და 45 წუთიდან კი ცხინვალის მხრიდან დაიწყო ამ სოფლებზე გაუმიცის ნაღმსატყორცნებისა და ყუმბარმტყორცნების დაშენა, რომელიც 2 ივლისის 18 საათისათვის, როცა ეს ცნობა მივიღეთ, ისევ გრძელდებოდა.

ქართველთა მხარე ყოველგვარ ღონეს რეგიონში მშვიდობის აღსადგენად და სამშვიდოდ დგამს სათანადო პრაქტიკულ ნაბიჯებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ოსების მხრიდან არიან ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ სისხლისღვრის შეწყვეტა.

შეხვედრა ვლადიკავკაზში გაიმართება

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრში, ჩრდილოეთ ოსეთისა და საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები მორიგედ გამართავენ ვლადიკავკაზში შეხვედრას ამ კვირის დამლევს. შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს კეთილმეზობლური ურთიერთობის ტრადიციათა აღდგენას, რომლებიც ყოველთვის არსებობდა ქართველი და ოსი ხალხების ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორის.

ამ დღეებში

გააშუქებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

24 ივნისის ამბებმა საბოლოოდ გამოავლინეს დამხობილი ტოტალიტარული რეჟიმის მომხრეები, გვიჩვენეს მათი, როგორც ფაშიზმის მიმდევართა ნამდვილი სახე, მაგრამ ყოველივე ამის მთავარი შედეგია ხალხის კონსოლიდაცია, მის მიერ დიქტატურის რესტავრაციის დაგმობა

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

ტოტალიტარიზმის რესტავრაცია არ მოხდება!

სახელმწიფო საბჭოს წევრები გულთბილად მიესალმნენ ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეს მამია ბერიშვილს — საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარეს, რომელიც გამოვიდა რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 30 ივნისს გამართულ მორიგ სხდომაზე. მან მხარი დაუჭირა საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას და უსურვა წარმატებანი თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა მამია ბერიშვილს და მისი სახით აღუთქვა ყველა თანამემამულეს საზღვარგარეთ, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ დაიშურებს ძალ-ღონეს, ენერგიას და თუ საჭირო იქნება, სიცოცხლესაც კი ქვეყნის აყვავებისა და დემოკრატიის იდეალების დამკვიდრებისათვის.

სხდომაზე უკვე მესამე მოსმენით განიხილეს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ დროებითი დებულების პროექტი, რომელიც წარმოადგინა სამხედრო მშენებლობის კომისიის თავმჯდომარემ აკაკი ბაქრაძემ. მან თქვა, რომ პროექტში შეტანილია ის შენიშვნები, ისინი კი ოცზე მეტი იყო, რომლებიც გამოითქვა წინა განხილვის დროს. მიუხედავად ამისა, ამჯერადაც დებულების ყოველი პუნქტი გულდასმით ანალიზდებოდა. გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი ისეთი საკითხების გამო, როგორიც არის შეღავათების მიცემა, გადავადებისათვის ვადის გაგრძელება, უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულების მიერ სამსახურის გავლის წესი და სხვ. საბოლოოდ ერთი პუნქტის გამო მაინც საჭირო გახდა შეთანხმებელი კომისიის დახმარება, რომელმაც შეძლო სხვადასხვა წინადადების შეთავსება, რის შემდეგ დოკუმენტი ერთხმად იყო მიღებული.

შემდეგ ქალაქის მერმა ოთარ ლითანიშვილმა გააკეთა ინფორმაცია პირველი ივლისიდან თბილისის მეტროთი მგზავრობის ფასის მომატების შესახებ. როგორც მან აღნიშნა, ეს სრულიადაც არაა პოპულარული ღონისძიება. ხორციელდება მეტროპოლიტენის ფინანსური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად გაუარესდეს სამგზავრო ჟეტონების მოსკოვში გატანის გამო, სადაც აგრეთვე პირველი ივლისიდან მანეთი ხდება მგზავრობის ფასი. რაც შეეხება მიწისზედა საქალაქო საზოგადოებრივ ტრანსპორტს — ავტობუსებს, ტროლეიბუსებს, ტრამვაის მგზავრობის ფასი მოიმატებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველგან მოემატება ხელფასი მოსახლეობას.

სხდომის დღის წესრიგის ცენტრალური საკითხი იყო 24 ივნისის ბანდიტურ-ტერორისტულ შეიარაღებულ აქციათა პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება. ამ საკითხზე წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტის რამდენიმე ვარიანტი: წინა სხდომაზე შექმნილი კომისიისა (ვახტანგ გოგუაძე), პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილებისა (ირინა სარიშვილი) და სახელმწიფო საბჭოს წევრის ივლიანე ხაინდრავასი. მოისმინეს აგრეთვე საქართველოს გენერალური პროკურორის ვახტანგ რაზმაძის, საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს ხელმძღვანელის ირაკლი ბათიაშვილის, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის რომან გვენცაძის ინფორმაციები, რომლებმაც სხდომას მოახსენეს, თუ როგორ მიმდინარეობს 24 ივნისს მომხდარი ამბების გარემოებათა გამოძიება, აგრეთვე, თუ როგორია ოპერატიული სიტუაცია რესპუბლიკაში ამჟამად.

სხდომის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები წარმოდგენილი პროექტებისა და ინფორმაციების გამო და აღნიშნეს, რომ 24 ივნისის ამბებმა საბოლოოდ გამოავლინეს დამხობილი ტოტალიტარული რეჟიმის მომხრეები, გვიჩვენეს მათი, როგორც ფაშიზმის მიმდევართა ნამდვილი სახე. მაგრამ ყოველივე ამის მთავარი შედეგია ხალხის კონსოლიდაცია, მის მიერ დიქტატურის რესტავრაციის დაგმობა და ახლანდელი ხელისუფლების, მისი დემოკრატიული გარდაქმნის კურსის საყოველთაო მხარდაჭერა. ორატორებმა მხარი დაუჭირეს განხორციელებული ავანტიურის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების პროექტს, რომელიც ივლიანე ხაინდრავამ წარმოადგინა. გადაწყდა იგი გახდეს საფუძველი და დაემატოს ალტერნატიულ ვარიანტებში მოცემული დებულებები, აგრეთვე ამ საკითხის განხილვის დროს გამოთქმული კონსტრუქციული შენიშვნები და წინადადებები.

სახელმწიფო საბჭომ მხარი დაუჭირა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებას, რომ თბილისში გაგრძელდეს კომენდანტის საათი პირველ აგვისტომდე. ეს გადაწყვეტილება უკავშირდება იმას, რომ ტოტალიტარული რეჟიმის რესტავრაციის ცდის ჩაშლის შემდეგ ვითარება რესპუბლიკაში ჯერჯერობით კვლავ დაძაბულია.

სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა სამანდატო კომისიის განახლებული შემადგენლობა, განიხილა სხვა საკითხები.

საქართველო-გერმანია: ურთიერთობა მტკიცდება

2 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მისი აღმატებულება ჰელმუტ შეფერი.

ბატონმა ჰელმუტ შეფერმა ბატონ ე. შევარდნაძეს გადასცა გერმანიის ფედერალური კანცლერის ბატონ ჰელმუტ კოლის პირადი წერილი და თქვა:

— მოხარული ვარ, რომ საშუალება მეძლევა გავაგრძელო გერმანია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ თქვენსა და ბატონ ჰანს-დიტრიხ გენშერს შორის დაწყებული მოლაპარაკება.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლიერება გამოთქვა გერმანიის ფედერალური კანცლერის ბატონ ჰელმუტ კოლის, გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ბატონ ჰანს დიტრიხ გენშერის, აგრეთვე გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკაში წარმოგზავნილი გერმანიის საელჩოს ხელმძღვანელების მისამართით გერმანიის მიერ საქართველოსათვის გაწეული სოლიდარობისა და მხარდაჭერისათვის დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

— საქართველო-გერმანიის ურთიერთობა დაიწყო დიდი აღმავლობით და დინამიზმით, მოხარული ვიქნებით, თუ ეს ასევე გაგრძელდება, — აღნიშნა ბატონმა შევარდნაძემ. შემდეგ მან შეაფასა საქართველოს პოლიტიკური სიტუაცია, აღნიშნა, რომ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა რეალური პოზიტიური ძვრები. — თუ ორი თვის წინ საქართველოში სამოქალაქო ომის საფრთხე რეალური იყო, ახლა შემიძლია განვაცხადო, რომ ეს საფრთხე დაძლეულია. 24 ივნისის გადატრიალების მცდელობამ დაადასტურა, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლებას უჭერს მხარს.

მეტად რთული პრობლემაა ქართველთა და ოსთა კონფლიქტი, — აღნიშნა შემდეგ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ. — მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ ჩამოვაყალიბეთ და მტკიცედ დავადექით მშვიდობისა და შერიგების სახელმწიფო პოლიტიკას, მაგრამ სირთულე ის არის, რომ ამ პოლიტიკას ყველა არ იზიარებს, მათ შორის ზოგი იმათგანიც, ვინც სახელმწიფო საბჭოს მხარეს დგას. გარკვეული ექსტრემიზმი ორივე მხრიდან ვლინდება. პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა რუსეთის ზოგიერთი ხელმძღვანელის არაკომპეტენტურმა გამოსვლამ.

— თქვენ მხედველობაში გყავთ რუცკოი და ხასბულატოვი? — ჩაერთო საუბარში მინისტრის მოადგილე.

— დიახ, — უპასუხა ბატონმა შევარდნაძემ. — თუმცა, რუსეთის პრეზიდენტი ბატონი ბორის ელცინი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაერკვა სიტუაციაში და, ამდენად, ჩვენს შეხვედრას დაგომისში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა პრობლემის მოგვარებისათვის. დღეს უნდა შედგეს საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაფორმების აქტი. ეს კიდევ უფრო გაზრდის ქართველთა და ოსთა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შანსს. ბოლო სამი დღის განმავლობაში ცხინვალის რეგიონში შედარებით სიმშვიდეა. წუხელ ოსმა „ბოევიკებმა" სროლა განაახლეს, მაგრამ მე არ შემიძლია ამაზე ხმამაღლა ვილაპარაკო, ვინაიდან ისინიც ჩვენები არიან. ჩემთვის არ არსებობს ოსური მხარე. ცხინვალი საქართველოს ქალაქია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბევრს არ ესმის.

ვრცლად ისაუბრეს შავი ზღვის აუზის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე სტამბოლში.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ იქნება დიდი სასიცოცხლო ეკონომიკური სივრცე, რასაც სერიოზული მნიშვნელობა ექნება მთელი ევროპისათვის, ჩვენ ცოტა უფრო შორს გავიხედეთ, — აღნიშნა მან. — საქმე ის არის, რომ ამ რეგიონალურ წარმონაქმნში ჩნდება ერთი შეხედვით შეურიგებელი ქვეყნების შერიგების შანსი. მაგალითად, თურქეთ-საბერძნეთი, სომხეთ-აზერბაიჯანი, რუსეთ-უკრაინა და სხვა. ამასთან, თუკი ეს ქვეყნები პოლიტიკურად და ეკონომიკურად ითანამშრომლებენ, ჩნდება კონფლიქტების ორი მწვავე ზონის — ბალკანეთისა და კავკასიის დაწყნარების პერსპექტივაც.

— არ მინდა კომპლიმენტი გითხრათ, მაგრამ ჩვენ ძალიან ვაფასებთ, რომ თქვენ ამ მწვავე რეგიონში მოღვაწეობთ და თქვენი უდიდესი გამოცდილება სწორედ ამ ურთულესი პრობლემების მოგვარებას ხმარდება, — თქვა ბატონმა შეფერმა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სტუმრის წინაშე დასვა ერთი პრინციპული საკითხი და სთხოვა იგი გადაეცა გერმანიის ხელმძღვანელებისათვის.

— ჩვენ უნდა ვიცოდეთ, — აღნიშნა მან, — აქვს თუ არა გერმანიას ინტერესები კავკასიაში და თუ აქვს, კერძოდ რა? ანალოგიური კითხვით, — განაგრძო მან, მივმართე რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებს, თურქეთის პრემიერ-მინისტრს.

— ჩვენი უპირველესი ინტერესები ამ რეგიონში სტაბილურობა და ეკონომიკური თანამშრომლობაა, — ასეთი იყო მინისტრის მოადგილის პასუხი.

შემდგომ საუბარი შეეხო ეკონომიკური თანამშრომლობის დეტალებსა და ნიუანსებს, კრედიტებს, სესხებს, დახმარებას, ქართულ ვალუტას, რუსეთის ჯარების გაყვანის პრობლემას. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი პრობლემა ცივილიზებული ფორმებით, მოლაპარაკების გზით გადაიჭრება. სტუმარი დაინტერესდა არჩევნებით, რაზეც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა, რომ არჩევნების დათქმულ ვადაში გამართვა და მასში დემოკრატიული ძალების გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

შეხვედრაზე გულთბილი, მეგობრული ატმოსფერო სუფევდა.

ჰელმუტ კოლის წერილი ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰელმუტ კოლის წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ, დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალს თქვენს ძალისხმევას დაიწყოთ ნამდვილად დემოკრატიული რეფორმები საქართველოში და საფუძველი ჩაუყაროთ თქვენი ქვეყნის ეკონომიკურ რეკონსტრუქციას. უდიდესი შეშფოთებით ვადევნებ თვალს არა მარტო სამხრეთ ოსეთში მიმდინარე შეტაკებებს, არამედ ქვეყნის სხვა რაიონებში წარმოქმნილ ინციდენტებსაც. ეს კონფლიქტები საფრთხეს უქმნის მთელ კავკასიის რეგიონს.

მინდა არაორჭოფულად დავუჭირო მხარი თქვენს გადაწყვეტილებას არ შეუშინდეთ სიძნელეებს, წინ წასწიოთ ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმები და მშვიდობიანი გზით გადაწყვიტოთ კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში. თქვენი მოწოდებანი კონფლიქტის მონაწილე მხარეებისადმი, რომ თავი შეიკავონ, და თქვენი ძალისხმევა გამოძებნოთ ურთიერთმისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილებანი გვიჩვენებს, რომ ერთადერთი, წარმატების მომტანი საშუალებაა თავიდან აიცილოთ კონფლიქტების შემდგომი გამწვავება და გზა გაუკვალოთ სამშვიდობო პროცესებს.

თქვენი ქვეყნისა და მთელი კავკასიის რეგიონისათვის ამ ესოდენ გადამწყვეტ ჟამს გისურვებთ სრულ წარმატებას თქვენს პოლიტიკურ მუშაობაში. მოხარული ვარ, რომ შეიქმნა შესაძლებლობა შევხვდეთ ერთმანეთს ჰელსინკში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის გამო.

თენგიზ სიგუა: საქართველოს და გერმანიის ურთიერთობა აღმავლობის გზით მიდის

18 აპრილი — საქართველოს და გერმანიის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების დღე — ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი ქვეყნების მეგობრობის ისტორიაში, — ასე მიესალმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი **თენგიზ სიგუა** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, მის აღმატებულებას ბატონ **ჰელმუტ შეფერს**. — დღევანდელი ვიზიტიც ამის დასტურია. ექსპერტები კი, რომლებიც თქვენ ჩამოიყვანეთ, დიდ სამსახურს გაუწევენ საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის საქმეში.

თენგიზ სიგუამ გააცნო საპატიო სტუმარს რესპუბლიკის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები, მიწის, ბინების, სავაჭრო ობიექტების და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების პრივატიზაციის, ფასების სრული ლიბერალიზაციის, მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებები, საბანკო პოლიტიკის განმტკიცების გზები, ინვესტიციების დაცვის საშუალებები.

გერმანელი სტუმარი დიდი ინტერესით ეცნობოდა პროექტებს, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისათვის. კერძოდ, ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციას, რაც შესაძლებელს გახდის გაიზარდოს ტვირთბრუნვა 40 მილიონ ტონამდე, აგრეთვე საავტომობილო მაგისტრალების ფოთი-ბაქო და ფოთი-ჯულფას (ირანი) მშენებლობის პროექტებს. უკანასკნელი წარმოადგენს უმოკლეს გზას ევროპიდან აზიაში. დიდმნიშვნელოვანი იქნება ბაქო-შავი ზღვის ნავთობსადენის მშენებლობა.

ბატონმა ჰელმუტ შეფერმა საქართველოს აღუთქვა დახმარება ამ და სხვა პროექტების განხორციელებაში. მან გამოთქვა აზრი, რომ გერმანული ფირმები დაინტერესებული არიან შემოიტანონ ინვესტიციები რესპუბლიკაში, მხოლოდ დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ საქართველოში იქნება სრული პოლიტიკური სტაბილიზაცია.

— დღეს მქონდა საუბარი ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან და დავრწმუნდი, რომ საქართველო სწორი დემოკრატიული გზით მიდის და თქვენს ქვეყანაში მიღწეული იქნება სრული სტაბილიზაცია, — თქვა საპატიო სტუმარმა. — მახარებს, რომ 11 ოქტომბერს თქვენთან ჩატარდება ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები. ჩვენ ამ საქმეშიც გაგიწევთ დახმარებას, გამოგიგზავნით კომპიუტერებს, ექსპერტებს, ზედამხედველებს.

შემდეგ საუბარი შეეხო კონკრეტულ წინადადებებს, რომლების განხორციელებაშიც გერმანიას შეუძლია დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს დახმარება ჩვენს ქვეყანას, კერძოდ, სამაცივრო სისტემების შექმნაში, რათა უკვე წელს დაუკარგავად შევინახოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, გერმანიის სელექციის გამოცდილების გამოყენებაში და სხვა. ყველა პრიორიტეტულ მიმართულებას შეისწავლიან ექსპერტები და გაფორმდება შეთანხმებები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ უმოკლეს დროში შეუდგებიან დასახული ღონისძიებების განხორციელებას.

საუბარში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა.

სურათზე: დროებითი მთავრობის თავმჯდომარესთან თენგიზ სიგუასთან შეხვედრის დროს.
ვივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნომერში

- დღეს გაიხსნება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პლენუმი. 2
- ოთხი საინტერესო ტელესაღამო. 3

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

ბრძანებულება

1. გაგრძელდეს ქ. თბილისში საკომენდანტო საათი 1992 წლის 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე. კომენდანტის საათის მოქმედება განისაზღვროს ღამის 1 საათიდან დილის 6 საათამდე.
2. ქალაქის კომენდანტად დაინიშნოს მილიციის პოლკოვნიკი დავით ზეიკიძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

თბილისი, 30 ივნისი 1992 წელი.

რუსეთი-საქართველო: დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებულია

2 ივლისს მოსკოვში გაიმართა შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჩიკვაიძესა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ანდრეი კოზირევს შორის.

შეხვედრის შემდეგ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ოქმს ელჩების დონეზე რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი

პირველ ივლისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში მყოფი ამერიკის საერთაშორისო სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების სპეციალური წარმომადგენელი დავით ზენიანი (ქ. ვაშინგტონი).

ედუარდ შევარდნაძე სტუმარს ესაუბრა ქართველთა და სომეხთა იმ ურთიერთობის საუკუნოვან ძმურ ტრადიციებზე, რომელიც დღევანდელ პირობებში, როცა საქართველო და სომხეთი რეალურად ყალიბდებიან სუვერენულ სახელმწიფოებად, განსაკუთრებულ აზრსა და მნიშვნელობას იძენს, სომხეთის პრეზიდენტთან ლევონ ტერ-პეტროსიანთან სტეფანავანსა და სტამბოლში შეხვედრებსა და საუბრებზე, უთხრა, რომ ისინი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ივლისის მეორე ნახევარში უკვე თბილისში.

დავით ზენიანმა აცნობა, რომ ამერიკელ სომეხთა გავლენიან საქმიან წრეებში სურთ ჰუმანიტარული დახმარება გაუწიონ მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტაში საქართველოს, რომელიც, ისევე როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ეკონომიკურ კრიზისს განიცდის.

საუბარში, რომელმაც გულთბილ და გულითად ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდა საქართველოს სომეხთა კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდენტი, გაზეთ „ვრასტანის" რედაქტორი ვან ბაიბურთი.

აფხაზეთში მცხოვრები კაზაკობის აზრი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს

ამა წლის 21 ივნისს ადგილობრივ პრესაში, კერძოდ, გაზეთ „რესპუბლიკა აბხაზიაში" გამოქვეყნდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისათვის გაგზავნილი დეპეშები.

ყუბანის კაზაკთა რადის ატამანთა საბჭო, რომელმაც მანამდე გამოაქვეყნა გაზეთ „კაზაჩიე ვესტიში" მიმართვა, მოვალედ თვლის თავს, თქვენი ყურადღება მიაპყროს იმას, რომ აფხაზეთში მცხოვრები კაზაკობის წარმომადგენელთა უმრავლესობა არ იზიარებს საკითხის დაყენებას იმ სახით, როგორც ეს გაკეთდა ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში. ჩვენი აზრით, ეს მოხდა იმის გამო, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მთელმა რიგმა სახალხო დეპუტატებმა ყუბანის კაზაკთა რადის წარმომადგენლებს გაუგზავნეს სრული დეზინფორმაცია.

აფხაზეთის სლავი მოსახლეობა არ განიცდის დისკრიმინაციას ქართველ „ბოევიკთა" მხრივ, როგორც ამას ამტკიცებენ დეპეშებში. ამასთანავე, აფხაზეთში მცხოვრები კაზაკობის აზრით, რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეა, რომლის შემადგენლობაში იმყოფება აფხაზეთი და საქართველოს სახელმწიფოს საშინაო პრობლემებში ჩარევა მიგვაჩნია არამართლზომიერად, რამაც შეიძლება გაართულოს ისედაც რთული სიტუაცია.

აფხაზეთში მცხოვრები კაზაკობის სათვისტომოს ატამანის მოადგილე
ვასილ ივანეს ძე კადენეცი.
1992 წლის 28 ივნისი

კრასნოდარის მხარე, ქალაქი კრასნოდარი, ყუბანის კაზაკთა რადის ატამანთა საბჭოს, ყუბანის კაზაკთა რადის გაზეთს „კაზაჩი ვესტის"

ყუბანის კაზაკობის მიმართვები და მოწოდებები, თითქოსდა ქართველი „ბოევიკები" ქმნიდნენ აფხაზეთის დამონების საფრთხეს, სრულიად მოკლებულია საფუძველს. ვიღაცას დასჭირდა წაგვკიდოს ჩვენს კეთილ მეგობრებს, კაზაკებს, რომლებიც საქართველოში უღრმესი პატივისცემითა და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობენ.

თქვენს მიმართვაში, სამწუხაროდ, ბევრი გაუგებრობა, ინფორმაციული დაბნეულობაა, რასაც ხშირად მართლაც გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც კარგად მოგეხსენებათ, საქართველოს განუყოფელი ნაწილია. აფხაზი ხალხის, ისევე როგორც საქართველოში მცხოვრები ყველა მოსახლეობის ღირსებას უწინარეს ყოვლისა თავად საქართველო დაიცავს.

რაც შეეხება მათი ხსნისათვის მოწოდებებს, როგორც ჩანს, ატამანთა საბჭო შეცდომაშია შეყვანილი და არასწორად არის ინფორმირებული. ჩვენი მხრივ, მზად ვართ [illegible] ვიცხოვროთ და ვითანამშრომლოთ ყუბანელ კაზაკობასთან, როგორც შეეფერებათ კეთილ მეზობლებს და გულწრფელ მეგობრებს.

სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვახტანგ გოგუაძე.

ცხინვალი: ახალი სამშვიდობო ინიციატივა

1 ივლისს ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ეროვნული გვარდიისა და ოსთა შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები. მოლაპარაკების დროს ორივე მხარე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შემდგომში ომის გაგრძელება სრული უაზრობაა, ზიანს აყენებს ორივე ხალხის ინტერესებს, საფრთხეს უქმნის მშვიდობას არა მარტო ამ რეგიონში, არამედ ქმნის ფართომასშტაბიანი ომის საშიშროებას.

ამ ომში, — აღინიშნა შეხვედრისას, — გამარჯვებული არავინ იქნება, დავმარცხდებით კი ორივე მხარე. ამიტომ ორივე მხარე გამოდის სამშვიდობო ინიციატივით და ცხინვალს აცხადებს მშვიდობიანი ზონის ქალაქად.

შეხვედრის მონაწილეებმა თავიანთი ინიციატივის ხორცშესხმისათვის შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებმაც მშვიდობა უნდა მოუტანონ ამ მრავალტანჯულ რეგიონს.

შეხვედრაში ქართველთა მხრიდან მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი.

ყაზბეგში გამართული შეხვედრის შედეგებზე იმსჯელა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა, მოიწონა ეს სამშვიდობო ინიციატივა და გადაწყვიტა ყოველნაირად შეუწყოს ხელი მის პრაქტიკულ განხორციელებას.

წერილი ჩეხეთ-სლოვაკეთიდან

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ბატონო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარევ!

დიდ მადლობას მოგახსენებთ წერილისა და განსაკუთრებით იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც გამოხატეთ ჩემდამი. თქვენ გაქვთ პოლიტიკური ცხოვრების მდიდარი გამოცდილება და კარგად იცით, რომ ზოგიერთი, დროის მიერ მოტანილი პრობლემა უნდა გადავჭრათ მოთმინებითა და თანდათანობით. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც კი, არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ სასურველ შედეგს მივაღწევთ. თქვენი მხარდაჭერა ჩემთვის ძალზე ფასეულია.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-პრემიერს ბატონ რომან გოცირიძეს საშუალება ჰქონდა პრაღაში ვიზიტის დროს შეხვედროდა მისთვის საინტერესო სფეროთა წარმომადგენლებს. მას მიღება მოუწყო აგრეთვე ჩეხეთ-სლოვაკეთის კანცლერმა ბატონმა კარელ შვარცენბერგმა.

მოხარული ვარ, რომ ქართველი პოლიტიკოსები ამჟღავნებენ ინტერესს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი გამოცდილების მიმართ. მჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა შეძლებს ამ ინტერესს უპასუხოს ასეთივე ინტერესით საქართველოსადმი როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება ჩვენთან ჩატარებული არჩევნებით შექმნილი ვითარების გათვალისწინებით.

გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი.

თქვენი
ვაცლავ ჰაველი.

აქტუალური ინტერვიუ

რომან გოცირიძე: გამოვიყენებთ იმას, რაც საქართველოს მოერგება

ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან დაბრუნდა საქართველოს მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი **რომან გოცირიძე.** ამასთან დაკავშირებით გაიმართა ეს საუბარიც.

— ბატონო რომან, ერთ დროს ჩვენ და ჩეხეთ-სლოვაკეთს „კომუნიზმის მშენებლობის“ ინტერესები გვაკავშირებდა. ახლა რა მიზნით ეწვია ჩვენი დელეგაცია ამ ქვეყანას?

— საქართველოს ჩეხეთ-სლოვაკეთში ახლაც აქვს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, რაც უმთავრესად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან არის დაკავშირებული. მით უფრო, რომ მათ უკვე აქვთ პრივატიზაციის ერთგვარი გამოცდილება, რომლის გაზიარება ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.

— როგორ შეხვდნენ მასპინძლები ჩვენი დელეგაციის საქმიან ვიზიტს?

— კეთილმოსურნე გაგებით, გულითადობით. უპირველესად გავცვალეთ წერილები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ და ჩეხეთ-სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა ერთმანეთს გაუგზავნეს. შემდეგ მიგვიღეს ჩეხეთ-სლოვაკეთის რესპუბლიკის კანცლერმა კარლ შვარცენბერგმა, ფედერაციული მთავრობის პრემიერმა იან სტრასკიმ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზდენკო პირკემ, ჩეხეთის მთავრობის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ტომაშ ეჟკომ.

გვქონდა საინტერესო საქმიანი შეხვედრები კუპონური პრივატიზაციის ცენტრში, სავაჭრო და საფონდო ბანკებში, საინვესტიციო ფონდებში, საოლქო საპრივატიზაციო კომისიებში, უშუალოდ პრივატიზებულ ობიექტებში. ამ შეხვედრების დროს ჩვენ მივიღეთ კომპლექსური ინფორმაცია ჩეხეთ-სლოვაკეთში ეკონომიკური რეფორმისა და პრივატიზაციის პროცესის კონცეფციისა და მიმდინარეობის შესახებ ყველა დონეზე, დაწყებული სამთავრობო ორგანოებით და დამთავრებული პრივატიზებული საწარმოებით.

— ეს ინფორმაცია, ვფიქრობთ, არც ჩვენი მკითხველისათვის იქნება უინტერესო. აქვთ რამე ისეთი, რასაც ჩვენც ჩავჭიდებთ ხელს?

— გეტყვით. ჩეხეთ-სლოვაკეთში ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს ეგრეთწოდებული „მცირე პრივატიზაცია“ და „დიდი პრივატიზაცია“.

მცირე პრივატიზაცია გულისხმობს სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებად გადაცემას რაიმე რთული მოსამზადებელი პერიოდის გარეშე. კერძო მფლობელობად გადაეცემა სავაჭრო ობიექტები და მომსახურების სფეროს საწარმოები, როგორც წესი, ისინი იყიდება აუქციონით ნაღდ ფულზე. უკვე გაყიდულია მაღაზიების, რესტორნების, სასტუმროების უდიდესი ნაწილი. ასე რომ, ვაჭრობა და მომსახურება ფაქტობრივად გადასულია კერძო სექტორის მფლობელობაში. მარტო ჩეხეთში ამ სფეროს 17 ათასზე მეტი საწარმოა პრივატიზებული.

რაც შეეხება დიდ პრივატიზაციას, მისი მოქმედების არეშია სახელმწიფო საწარმოები, საფინანსო და სადაზღვევო დაწესებულებები, სხვა სახის საბიუჯეტო ორგანიზაციები. ისინი კერძო მფლობელობად გადაეცემა როგორც პირდაპირი გაყიდვით, ისე საპრივატიზაციო კუპონების მეშვეობით.

დიდი პრივატიზაციის ძირითადი ფორმა გახლავთ საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გადაკეთება. მოსახლეობას ურიგდება ე. წ. კუპონები, რაც მას უფლებას აძლევს გახდეს მისთვის სასურველი ნებისმიერი საპრივატიზებო საწარმოს აქციების მფლობელი.

— დაწყებულია ასეთი პრივატიზაცია?

— მასობრივი კუპონური პრივატიზაცია ამ დღეებში დაიწყება. რაც მთავარია, იგი ტექნიკურად უკვე მომზადებულია. დაიბეჭდა და დარიგდა კუპონები, რომელთა მფლობელებმა უკვე გააკეთეს განაცხადი იმის თაობაზე, თუ რომელი საწარმოს აქციების შეძენა სურთ. ორიოდე კვირაში კომპიუტერზე დამუშავებული შედეგები გამოქვეყნდება, მოხდება თითქმის ყველა სახელმწიფო საწარმოს ტოტალური გააქციონერება.

— სოფლად რაღა კეთდება?

— მიმდინარეობს კოლმეურნეობების, საზოგადოებრივი მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტრანსფორმაცია.

აქვე მინდა ვთქვა ერთი თავისებურების შესახებ, რასაც ამ ქვეყანაში პრივატიზებისას იყენებენ. ეს გახლავთ რესტიტუცია, ანუ ქონების დაბრუნება მისი წინანდელი მფლობელისათვის. ამ გზით დიდძალი მიწა, სახლები, საწარმოები დაუბრუნდათ მათ პირვანდელ მფლობელებს.

— საინტერესოა, მაგრამ ჩვენთან მათ გამოცდილებას ალბათ მთლიანად ვერ გამოვიყენებთ.

— რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ გადმოვიღებთ. საამისოდ ჩვენ არ გაგვაჩნია არც ტექნიკური აღჭურვილობისა და არც სამეურნეო კადრების დონე. ჩეხეთ-სლოვაკეთში პრივატიზაცია არის მთლიანად კომპიუტერიზებული, რის შესაძლებლობაც ჩვენ არ გაგვაჩნია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენთან სულ სხვა სოციალური მდგომარეობა, პოლიტიკური სიტუაცია სუფევს, ვიდრე მათთან. ამიტომ პრივატიზაციას საქართველოში ექნება მისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

ისე, კი შეთანხმების თანახმად, ჩეხეთ-სლოვაკეთიდან მოვიწვევთ ექსპერტებს, საკონსულტაციო ფირმების წარმომადგენლებს, რომელთაც პრივატიზაციის სფეროში დიდი გამოცდილება აქვთ. ისინი გვასწავლიან, დაგვეხმარებიან უფრო მარტივი ხერხების გამოყენებით როგორ მივაღწიოთ ჩვენი პირობებისათვის მისაღებ კარგ ეფექტს. მანამდე კი დაგვეხმარება ქონების შეფასების, აუქციონების ჩატარების მეთოდიკები, აქტები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც თან ჩამოვიტანეთ.

— ბატონო რომან, კარგია რომ დაგვეხმარებიან პრივატიზაციის წარმართვაში, მაგრამ სხვა სფეროებშიც ხომ არ ვითანამშრომლებთ?

— როგორ არა. შეხვედრებისა და მოლაპარაკების დროს იმ დასკვნამდე მივედით, რომ მიზანშეწონილი იქნება პრივატიზაციის პროცესის ფარგლებში ორივე ქვეყანამ გააფართოოს ეკონომიკური კონტაქტები, ინვესტორთა ორმხრივი კაპიტალდაბანდებანი. საქართველოს მეწარმეობაში ჩეხეთ-სლოვაკეთის მხარის მონაწილეობა შეიძლება ეფექტიანი გამოდგეს, მაგალითად, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე ბუნებრივი პირობების კომპლექსური გამოყენების, მძლავრი სატვირთო მანქანების ერთობლივი წარმოების, აგრეთვე მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დროს, რომლებიც ჩვენთვის ენერგიის მეტად მნიშვნელოვან და პერსპექტიულ წყაროს წარმოადგენს. არის იმის წანამძღვრებიც, რომ იქაურმა მეწარმეებმა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს წარმოების ინტენსიფიკაციაში, შეიქმნას ჩეხეთ-სლოვაკეთის მომხმარებლებისათვის ხილისა და ბოსტნეულის, ღვინისა და არყის, ჩაისა და სხვა ნაწარმის მიწოდების შესაძლებლობანი.

სამომავლოდ ჩეხეთ-სლოვაკეთისა და შუა აზიის ქვეყნების ვაჭრობის განვითარებაში შეიძლება დიდი როლი შეასრულოს დუნაისა და საქართველოს ნავსადგურების სატრანსპორტო არტერიების უფრო ინტენსიურად გამოყენებამ.

და ერთიც. ვინაიდან მანეთი არ არის კონვერტირებული, გამოითქვა სურვილი უფრო აქტიურად გამოვიყენოთ ბარტერული გარიგებანი. ჩეხეთ-სლოვაკეთის მხარე მზად არის კვების პროდუქტებით უზრუნველყოს ჩვენი კურორტები, სანაცვლოდ კი მიიღოს არა ვალუტა, არამედ საქართველოში დასასვენებელი საგზურები.

დაისახა ერთობლივი საწარმოების შექმნის, სხვა სფეროებში თანამშრომლობის პერსპექტივაც, რაც, ვფიქრობთ, საიმედოდ წაადგება ჩვენი დაშლილი ეკონომიკის აღმავლობას.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

სეპარატისტებს ჩანაფიქრი არ გაუვათ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კოლეგიამ, რომელმაც ამ დღეებში განიხილა რესპუბლიკის ერთიანი შეიარაღებული ძალების მშენებლობის საჭირბოროტო საკითხები, მის შემადგენლობაში ახალშექმნილი აფხაზეთის ბატალიონის მდგომარეობაც გააანალიზა. კერძოდ, აღინიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეროვნული გვარდიის ამ ქვეგანაყოფს, მის სტატუსს, ამოცანებს, მოქმედების მიმართულებებს. მიღებულია დადგენილება, რომელშიც დასახულია გვარდიელთა საყოფაცხოვრებო, საბრძოლო მომზადების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

საქინფორმის კორესპონდენტები რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საგანგებო რწმუნებულს **ბორის კაკუბავას** შეხვდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, სთხოვეს მას განემარტა ეს დადგენილება, გაეზიარებინა მოსაზრებანი ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარების ახლანდელი მკვეთრი გამწვავების მიზეზების თაობაზე.

— მიღებული გადაწყვეტილება მეტად დროულია, — თქვა მან. — სოხუმის 1 მექანიზებულ ბატალიონს ხომ ჯერჯერობით არა აქვს მუდმივი ბაზა, და დროებით დისლოცირებულია ტურისტულ სასტუმრო „ცხუმში“. ამავე დროს მასში სამსახურის მსურველთა რიცხვი სულ უფრო მატულობს. იგი დაკომპლექტებულია კვალიფიციურ ოფიცერთა კადრებით, ახალგაზრდებით, რომელთაგან ბევრი კარგად არის მომზადებული. ბატალიონის პირად შემადგენლობაში ქართველების გარდა არიან ადგილობრივი სომხური, რუსული, უკრაინული მოსახლეობის წარმომადგენლებიც, მიღების შესახებ განცხადება შემოიტანეს აფხაზმა ჭაბუკებმაც. ნავარაუდევია, ასეთი სამხედრო ქვეგანაყოფების ფორმირება შეიქმნას გალში, გაგრაში, გულრიფშში. სოხუმის ბატალიონი შეიქმნა ერთგვარად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს დაქვემდებარებული ეგრეთ წოდებული „აფხაზური გვარდიის“ შექმნის პასუხად.

უნდა ვაღიაროთ, რომ სოხუმის ბატალიონის ფორმირებამ ხელი შეუწყო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის სულიერ გამხნევებას, რადგან იგი ავტონომიურ რესპუბლიკაში მისი უფლებების დაცვის გარანტი გახდა. თავისი როლი შეასრულა ბატალიონმა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და საქართველოს მთავრობას შორის მოლაპარაკების დაწყების დაჩქარებაშიც.

— ამასთანავე ავტონომიურ რესპუბლიკაში დღესაც ხდება ხიდების აფეთქება, რკინიგზის ლიანდაგის ბლოკირება...

— თქვენ იცით, რომ აფხაზეთის ხელისუფალნი ქართული მოსახლეობის მიმართ შერჩევით მოქმედებენ. მაგალითად, „ზვიადისტები“ დაუსჯელად ახორციელებდნენ სხვადასხვა ტერორისტულ აქტებს, არ უშვებდნენ ადამიანებს სამუშაოზე; მათ შვილებს კი — სკოლებში. და ამისთვის მათ პასუხს არავინ სთხოვდა, რადგან აქციები ხორციელდებოდა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ალიანსში მყოფი გაქცეული ექსპრეზიდენტის სცენარით, და სწორედ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თავკაცთან იყო შეთანხმებული მომავალი ქმედებანი.

„ზვიადისტები“, რომლებიც ისტერიულად მოუწოდებდნენ მოსახლეობას არ დამორჩილებოდნენ საქართველოს ახლანდელ ხელმძღვანელობას, ნებსით თუ უნებლიედ ხელს უწყობდნენ აფხაზეთში ხელისუფლების უზურპაციას. აი შედეგიც: დღეს ავტონომიურ რესპუბლიკაში ნაჩქარევად შეიქმნა პრაქტიკულად ყველაფერი, რაც ახასიათებს დამოუკიდებელ სახელმწიფოს — საკუთარი არმია, საბაჟოები, ბანკები და ა. შ. აფხაზეთის ხელისუფლებამ თავის იურისდიქციაში გადაიყვანეს საკავშირო და რესპუბლიკური საწარმოები.

— როგორ გესახებათ აფხაზეთში კრიზისის გადაწყვეტის შესაძლებლობა?

— აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მაისში გამართულმა ყრილობამ შექმნა ეროვნული ერთიანობის საბჭო. მან მოითხოვა დაიშალოს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო როგორც ანტიდემოკრატიული და ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ მოქმედი ორგანო. უნდა გაუქმდეს ავტონომიურ რესპუბლიკაში არჩევნების შესახებ დისკრიმინაციული, ექსპრეზიდენტის მიერ სანქცირებული კანონიც. უნდა შემუშავდეს უფრო სამართლიანი კანონი ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ და იგი დემოკრატიულ საფუძველზე მოეწყოს.

— ბოლო დღეებში ვითარება აფხაზეთში კიდევ უფრო დაიძაბა...

— ფაქტები თავად მეტყველებენ. მოეწყო თავდასხმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაზე, სასტიკად არის ნაცემი მინისტრი, „აფხაზი გვარდიელები“ თავხედურად დასეირნობენ ტანკებით სოხუმში, გვემუქრებიან ჩვენ ქართველებს, ამავე დროს, ეშერაში განლაგდა მთიელი ხალხების ყბადაღებული კონფედერაციის თუმცა შეზღუდული, მაგრამ მაინც სამხედრო კონტინგენტი...

ჩვენ დასათმობი არაფერი გვაქვს. ვერ ვიქნებით მეორე ხარისხის ადამიანები მშობლიურ მიწაზე. დიახ, აფხაზები ჩვენი ძმები არიან, საუკუნეების განმავლობაში ვცხოვრობდით ერთად, მათთან ნათესაობა გვაკავშირებს, მაგრამ ერთი რამ უნდა გაირკვეს: აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პრიორიტეტი, უზენაესობა უნდა ეკუთვნოდეს ამ სახელმწიფოს კანონებს და ასეც იქნება, და არა ისე, რომ ვიღაცას მოეპრიანოს ჩვენი ხალხების ბედი გადაწყვიტოს სადღაც ჩრდილოეთ კავკასიაში, და მთიელი ხალხების რაღაც კონფედერაციის შექმნას ლამობდეს, რომელსაც დედაქალაქი შავ ზღვასთან ექნება. არა, ბატონო სეპარატისტებო, ეს ნომერი არ გაგივათ, ეს არ მოხდება.

ზურაბ ბრძოლიშვილი,
თენგიზ ჯიგუტი,

...და დაიწყო არმიის სადაგი დღეები

სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებმა დაიწყეს ვადიანი სამსახური საქართველოს ეროვნული არმიის ერთ-ერთ ბატალიონში. ეს მოტორიზებული ბატალიონი მდებარეობს სოხუმში. საკონტრაქტო საფუძველზე აქ ქართველებთან ერთად, სურვილისამებრ, იმსახურებენ სხვა ეროვნებათა ჯარისკაცები და ოფიცრები.

●

სურათზე: უფროსი ლეიტენანტი თამაზ შუბითიძე ეცნობა ახალგაზრდა ჯარისკაცებს.

ირაკლი ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო აღიარება

როგორც ვიუწყებოდით, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მონრეალის ოცდამეერთე კონგრესზე საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი მიიღეს ამ ორგანიზაციაში.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

— ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია ჟურნალისტთა კავშირების კონფედერაციაა, — თქვა მან, — რომელიც არ არის დამოკიდებული არანაირ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ორგანოზე. იგი შეიქმნა იმ საკითხების გადაწყვეტისათვის, რომლებიც ეხება ტრედ-იუნიონთა მოძრაობას და ჟურნალისტურ პროფესიულ პრაქტიკას, იცავს ჟურნალისტებისა და მათი ორგანიზაციების უფლებებსა და დამოუკიდებლობას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას. მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა დაეხმაროს ჟურნალისტურ ორგანიზაციებს კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების დადებაში. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საკითხებზე ვაპირებთ დეტალურ საუბარს ჩვენს უახლოეს პლენუმზე. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას საკონსულტაციო სტატუსი აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მჭიდროდ თანამშრომლობს იუნესკოსთან, იგი აღიარა ევროპის გაერთიანებამ.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა 1952 წელს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის საპირისპიროდ, რომელიც დაფუძნდა მოსკოვის ინიციატივით 1947 წელს. აქ გაერთიანებულია 82 ქვეყნის დაახლოებით 300 ათასი ჟურნალისტი. მის შემადგენლობაში შედიან მსოფლიოს ყველა წამყვანი სახელმწიფოს ჟურნალისტური ორგანიზაციები.

ზემოთ ვახსენე კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც მომავალში შეიძლება დაიდოს გამომცემლებს (ან რედაქტორებს) და ჟურნალისტებს შორის ჩვენი კავშირის მონაწილეობით. ეს ხელშეკრულებები მოაწესრიგებენ ორი მხარის უფლება-მოვალეობებს, მაგრამ ეს არ უნდა გაკეთდეს პრესის თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე, რისი საშიშროებაც პოტენციურად არსებობს.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე ერთ-ერთი საკითხი იყო მის შემადგენლობაში ჩვენი ორგანიზაციის მიღება. ჯერ კიდევ 1991 წლის დამდეგს გავგზავნეთ ჩვენი წესდება და ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. ისინი შეისწავლა ფედერაციის აპარატმა, ჩვენთან ზოგიერთი საკითხი დააზუსტა და შარშან სექტემბერ-დეკემბერში მთელ მსოფლიოში გაავრცელა ჩვენი ცნობები საქართველოში დატრიალებული ამბების შესახებ, აქტიურად გაილაშქრა დაპატიმრებული ჟურნალისტების დასაცავად. (24 ივნისის თბილისის ამბებიც ვაცნობეთ ბრიუსელს და ჩვენი კავშირის განცხადებაც გადასცეს ბევრ ქვეყანაში). კონგრესამდე შევხვდი ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივანს, კიდევ ერთხელ გავაანალიზეთ ჩვენი კავშირის სტრუქტურა და საქმიანობა და მხოლოდ ამის შემდეგ დადგა დღის წესრიგში საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის მიღების საკითხი.

ჩვენთან ერთად ფედერაციაში მიიღეს კვიპროსის, არგენტინის, კოლუმბიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, ლატვიის ჟურნალისტური ორგანიზაციები... სხვადასხვა მიზეზის გამო უარი უთხრეს მექსიკის, საბერძნეთის, ანგოლის, უნგრეთის, ლიტვის, ინდოეთის, ავსტრიის, ესპანეთის ალტერნატიულ ჟურნალისტურ ორგანიზაციებს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ჟურნალისტური ორგანიზაციის საკითხი აღარ განიხილეს, სამაგიეროდ იფჯ-ში მიიღეს უკრაინისა და ბელორუსიის ჟურნალისტური ორგანიზაციები.

კონგრესზე დიდი ყურადღება დაეთმო ჟურნალისტთა უსაფრთხოებას. ცნობილია, რომ მარტო შარშან სარედაქციო დავალებების შესრულებისას დაიღუპა 84 ჟურნალისტი, ძირითადად, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში. უნდა ვაღიარო, გამოვთქვი შიში, რომ 1992 წლის დამლევისათვის ამ რეგიონებს შეემატება აღმოსავლეთი ევროპა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთი რესპუბლიკა. მიიღეს მიმართვა მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებისადმი და მოთხოვნა, უზრუნველყონ ჟურნალისტთა მუშაობის უსაფრთხოება.

კონგრესმა მთლიანად განაახლა ფედერაციის ხელმძღვანელობა, დარჩა მხოლოდ ფედერაციის გენერალური მდივანი ადან ვაიტი.

ახალ ხელმძღვანელობასთან მე და ლიტველმა კოლეგამ განვიხილეთ ჩვენს ქვეყნებში უშუალოდ ფედერაციის შტაბ-ბინასთან დაკავშირებული საინფორმაციო ცენტრების შექმნის შესაძლებლობა. გადაწყდა, რომ სექტემბერში ლიტვასა და საქართველოში ჩამოვლენ ჯგუფები, რომლებიც ადგილზევე გაეცნობიან საქმის ვითარებას და შეისწავლიან იუნესკოსთან ერთად საინფორმაციო ცენტრების შექმნის შესაძლებლობას ვილნიუსში — ბალტიისპირეთის რეგიონისათვის და თბილისში — ამიერკავკასიის რეგიონისათვის.

აი მოკლედ ის, რაც მოხდა მონრეალში. თუ რა დასკვნები უნდა გამოიტანონ აქედან ჩვენმა კავშირმა და მისმა წევრებმა, ვიმსჯელებთ, როგორც უკვე მოგახსენეთ, მომავალ პლენუმზე, რომლის მოწყობაც, გვინდა ივლისის დამდეგს.

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა. მონრეალში შევიძინე ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მოწმობები, ეგრეთ წოდებული საერთაშორისო პრესის ბილეთები. ამ მოწმობის მფლობელს უშუალოდ იცავს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ალბათ, პლენუმზე გადავწყვეტთ სწორად, თუ ვის უნდა გადავცეთ უწინარეს ყოვლისა, ეს მოწმობები.

აკაკი სიხარულიძე.

სესხი მარცვლეულის შესასყიდად

უცხოელი სპეციალისტები, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური კომისიის მორიგ სხდომაში.

ისინი საქართველოში ეკონომიკის გაჯანსაღების ხელშესაწყობად, საბაზრო ურთიერთობაზე მის გადასაყვანად მსოფლიო ბანკში ჩვენი რესპუბლიკის შესვლის მოსამზადებლად ჩამოვიდნენ.

სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის **რომან გოცირიძის** თავმჯდომარეობით, საზღვარგარეთელმა ექსპერტებმა გამოთქვეს ხორბლის შესასყიდად ჩვენი რესპუბლიკისთვის სესხის მიცემის დაჩქარების კონკრეტული რეკომენდაციები, ცოტა ხნის შემდეგ კი თვითონ დაუკავშირდნენ ტელეფონით საჭირო გარანტიების უზრუნველსაყოფად ევროპის გაერთიანების შესაბამისი კომისიის თანამშრომლებს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ჩვენს რესპუბლიკაში მარცვლეულის საავანსო მოწოდებანიც.

მაგრამ, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, მხოლოდ უცხოელი მეგობრების კეთილმოსურნეობის იმედად ვერ ვიქნებით, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საკუთარი რეზერვებიც, უნარიანად მოვემზადოთ ახალი მოსავლის ასაღებად. კომისიის წევრებმა, რომლებმაც გააანალიზეს პურპროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების მდგომარეობა, აღნიშნეს, რომ არის პირველი საჭიროების პროდუქტების გარკვეული მარაგი, მაგრამ საჭიროა მისი შევსება. ითქვა, რომ ივლისის პირველი დეკადის დამლევს მოელიან თურქეთიდან რამდენიმე ათეული ათასი ტონა მარცვლეულის მიღებას. მაგრამ, ეტყობა, დაგვჭირდება ხელმისაწვდომ ფასად ხორბლის კიდევ ერთი პარტიის შესყიდვა, შესაძლოა, პოლონეთში.

სხდომაზე აღინიშნა ფოთის, სამტრედიისა და ბათუმის წისქვილკომბინატების რეკონსტრუქციის დაჩქარების, კომბინირებული საკვების პრობლემის დროული გადაწყვეტის აუცილებლობა.

კომისიამ მოისმინა ინფორმაცია წინა სხდომების გადაწყვეტილებათა რეალიზაციის თაობაზე და იმსჯელა ზოგიერთ სხვა საკითხზე.

მოვლენის შემდეგ

ეთერშია საქართველოს ტელევიზია

— ანგრევთ, ხომ?

რომ გკითხოს ვიღაცამ, უცხომ, მე და ჩემს უგუნურ მოგვარტომეს, ხომ ვუპასუხებთ: კი, ვანგრევთო.

რატომ, რისთვის ანგრევთო, ისიც რომ გვკითხოს იმ უცხომ, აი, მაშინ რაღას ვუპასუხებთ მე და ჩემი უგუნური მოგვარტომე? თანაც ვანგრევთ, ვაქცევთ ორასი წლის ნაოცნებარ, ძლივსმიღწეულ თავისუფალ სამშობლოს, საკუთარს.



საცოდავი სანახავია ტელევიზიის შენობა — მინებჩალეწილი თვალებდათხრილივით დგას და თითქოს გვანამუსებს. ვუყურებ და მაგონდება; 24 ივნისს, ყველაფერი რომ დამთავრდა, რასაკვირველია, ყველა ტელევიზორს უტრიალებდა. ის კი იდგა შავ, ამოლამებულ ფონზე თეთრი წარწერით — საქართველოს ტელევიზია. თითქოს უხმოდ გოდებდა სულიერივით.

— მე არ ვიცი, კონკრეტულად რას ისახავდნენ მიზნად. არ ვიცი ამის ფასი რა ქნეს, რის მიღწევა სურდათ. მარტო დათო ნადირაძის სიცოცხლის ფასად რა უღირდათ, — გოჩა ხუნდაძეს ვესაუბრები, საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის დეპარტამენტის გენერალურ დირექტორს. — უამრავი კითხვა ჩნდება ამ დღეებში. ყველაზე მწარე კი აი ეს არის, ამბობს.

დათოს სიკვდილი მართლაც ულმერთო იყო. დაჭრილს, დაცემულს ერთი ტყვია არ აკმარეს — ავტომატის ჯერი ზედ დააცალეს.

ამის შემდეგ ტელევიზიისთვის მიყენებულ მატერიალურ ზარალზე როგორ გინდა ილაპარაკო. მარტო 30 მილიონი მანეთის შუშებია შესაძენი. ამას პლუს ოთახების აღდგენა, შეკეთება, დგამ-ავეჯის გამოცვლა. ტექნიკურ მხარეს ხომ ნუღარ იტყვით. ძალზე სერიოზულად არის დაზიანებული რადიოკომპლექსის ცენტრალური სააპარატო, აგრეთვე ვიდეოჩამწერი საამქროების ნაწილი. დაიკარგა სამი ვიდეოკამერა. ჯერ კიდევ იანვრის მოვლენების შემდეგ ბუნკერის ტელევიზიიდან უკვალოდ გაქრა ტელევიზიის შვიდი ვიდეოკამერა. ახლა — სამი. ისე რომ საქართველოს ტელევიზია ერთადერთი გამართული ვიდეოკამერის ანაბარა დარჩა, ცოტაოტა მოყვარულთა კამერებით ეხმარებიან. ეს არის და ეს.

ჩვენი ქვეყნის ყუმბი დასულ ბიუჯეტს ეგოდენი ხარჯის გაღების პრაქტიკული კი არა, ალბათ, თეორიული შანსიც არა აქვს. ტელევიზიას კი აღდგენა სჭირდება, თანაც, რაც შეიძლება მალე.

თუ სხვა გვიწერია და უფალს ჩვენზე მთლად არა აქვს ხელი აღებული, ალბათ მხოლოდ იმის გამო, რომ არსებობს სხვანაირი საქართველოც, ისეთი, რომელიც კი არ ანგრევს, აშენებაზე ფიქრობს, ოცნებობს, ისეთი, ერთმანეთისთვის ხელის გაწვდა რომ არ ეზარება გაჭირვების ჟამს.

პირველი დახმარების ხელი დეპარტამენტის კოლექტივს მრეწვმშენბანკმა გაუწოდა. მმართველმა ზაალ გენძეხაძემ დარეკა, 200 ათას მანეთს გირიცხავთო.

მერე გაკეთდა განცხადება, ვისაც რამდენი და როგორ შეგიძლიათ, მოგვეხმარეთო. გამოხმაურებები უკვე არის — ცოტა-ცოტა ბევრმა გაიღო, რაც საბოლოო ანგარიშით ერთად თავმოყრილი თავისას იქმს. მარტო ეროვნულმა გვარდიამ ერთი მილიონი მანეთი გადაურიცხა დეპარტამენტს.

— იმ საშინელ წუთებში, ჩვენ რომ გადავიტანეთ, როგორ შეიძლება რამეს დადებით ემოციაზე ლაპარაკი, მაგრამ ასეთი რამ, წარმოიდგინეთ, მაინც იყო, — ეს ისევ ბატონი გოჩაა, — ტელევიზიის შენობის გარშემო შემოჯარულ ამოდენა ხალხს რომ ვუყურებდი, ამდენი ერთი განწყობით და სულისკვეთებით გაერთიანებული ადამიანების თანადგომა ასე ხელშესახებად რომ ვიგრძენი... მოკლედ, ის წუთები არასდროს დამავიწყდება. მერეც, ყველაფერი რომ დამთავრდა, მეზობლები, სპორტის სასახლის მუშაკები მოვიდნენ, რითაც შეგვეძლია მოგეხმარებითო. შენობის მოწესრიგებაში დაგვეხმარნენ.

უთენია, როგორც კი მოძალადენი ეთერში გავიდნენ, ტელევიზიის შენობასთან მოვიდნენ დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი არჩილ გოგელია, მისი მოადგილე ზაზა დარასელია, გენერალური დირექტორი გოჩა ხუნდაძე.

— მე გვარდიელებს ამოვუდექი მხარში, ისინი კი მინისტრთა კაბინეტის შენობაში წავიდნენ, — ყველაფერი იღონეს რადიომაუწყებლობის სასწრაფო აღდგენისათვის. ამ დროს უპირველესად მოსახლეობასთან კონტაქტი იყო საჭირო, რომ პანიკას არ მოეცვა ისინი. მათ უთუოდ უნდა გაეგოთ, რომ ხელისუფლება, ასე ვთქვათ, ფლობდა სიტუაციას და ხალხს არ უხმობდა, არიქათ, ჯიბის დანებით ჩემ დასაცავად წამოდით ქუდზე კაციო.

— როგორც ხმა გამოვიდა, ციხე შიგნიდანაც გამტყდარა. შენობაში გამაგრებულთა შორის არცერთი თქვენი თანამშრომელიც ყოფილა...

— კი, თუ თანამშრომელი შეიძლება ეწოდოს ადამიანს, რომელიც იანვრის მოვლენების შემდეგ სამსახურში არ გამოცხადებულა. მაინცდამაინც იმ დილით მოუნდათ მოსვლა ვითომდა სამუშაოდ. ულტიმატუმის დრო რომ ამოიწურა და შენობაში შემოვცვივდით, ვითომც აქ არაფერი განსაკუთრებული მომხდარა, — უხუმრად გაპარვას აპირებდნენ. იმის ვაჟკაცობაც არა აქვთ, ბოლომდე ერთგულად იდგნენ იქ, სადაც დგანან. თუ გავიდოდა ავანტიურა, ხომ კარგი, თუ არადა — ვითომ ჩვეულებისამებრ სამსახურში იყვნენ მოსული...

— ჩვეულებრივ... ახლა დათო ნადირაძის ახლობელთა ჰკითხოს ვინმემ რა ბალღამია ამ ჩვეულებრივობაში...

— სხვათა შორის ამ ამბებმა ბევრს აუხილა თვალი. ჩემი რამდენიმე კოლეგა, მაგალითად, იმ დილამდე ყოფილი პრეზიდენტის აშკარა მხარდამჭერი, იმ დღეს მთლიანად შემობრუნდა აქეთ. იარაღს ეძებდნენ, მაგათ აღარ დავინდობთო.

— ირგვლივ ისეა ყველაფერი იავარქმნილი, ყველას გვეგონა ტელევიზიას კარგა ხანს გამოვემშვიდობებოდით. საბედნიეროდ მალე გავიგონეთ დიქტორის ხმა — ეთერშია საქართველოს ტელევიზია... როგორ შეძელით ეს?

— შენობაში რომ შემოვედით და ვნახეთ ყოველივე, რაც დამტვრეულიყო, ბუნებრივია, ყველაფერს ოპტიმიზმით დავხედეთ. იყო აზრი, რომ ოპერატიულად აღდგენილიყო მაუწყებლობა და ექსტრემალურ პირობებზე გადავსულიყავით. ბატონმა არჩილ გოგელიამ სხვანაირი მოსაზრება შემოგვთავაზა — პროგრამა ჩვეულებრივ გაგრძელებულიყო, რაც ხაზს გაუსვამდა იმ გარემოებას, რომ ცხოვრების ჩვეული რიტმი არ დარღვეულა, რომ მოღალატეთ (დიახ, ამ აქციას ღალატი პირველმა ბატონმა არჩილმა უწოდა, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმები) ვერაფერი მიიღეს საკუთარი ხალხისაგან ზიზღის და გარიყვის მეტი.

— თქვენს ვაი-თანამშრომლებზე კი ვთქვით, მაგრამ სხვებიც ხომ იყვნენ, ნამდვილი მამულიშვილები, დილიდანვე გაუჩერებლად რომ მუშაობდნენ, ბათუსა და ყურთასმენის წამღებ ზრიალში კამერას ხელიდან არ უშვებდნენ.

— გურამ კუციავას წამი არ მოუცდენია. ვერტმფრინავიდანაც იღებდა. სხვათა შორის ვერტმფრინავი დაზიანდა, მაგრამ მოხერხდა მისი მშვიდობიანად დასმა და ყველაფერი უსაფრთხოდ დამთავრდა. ოპერატორი დათო ჩხიკვიშვილი სულ წინა ხაზზე იყო. განა შეიძლება საჯაროდ მადლობა არ ვუთხრა მათ? ასევე არ შემიძლია არ მოვიხსენიო ჩვენი ყოფილი თანამშრომელი, ახლა საბურთალოს რაიონის პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსი ირაკლი მხეიძე. ხომ იცით, ამგვარ სიტუაციაში ჩანს ხოლმე ყველაზე ნათლად ვინ ვინ არის.

ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება, წინაპარი გვასწავლიდა. მწარე წუთები გამოვიარეთ, კიდევ ერთი შოკი გადავიტანეთ, მაგრამ სამაგიეროდ დავინახეთ, რომ ქვეყანას პატრონი ჰყავს, რომ ხელისუფლება რეალურ ძალას ფლობს და საჭიროებისამებრ შეუძლია დროის უმოკლეს მონაკვეთში ჭეშმარიტი ოსტატობით დაიცვას თავიც და თავისი ხალხიც. მთავარი კი ეს არის და კიდევ მთავარია სიმშვიდე. სიწყნარე დაგვეუფლოს ბოლოს და ბოლოს, ავტომატის კაკანი აღარ გვესმოდეს ყოველდღე, შიშით არ მოველოდეთ ყოველი დღის გათენებას; ტელევიზორის ჩართვისას ხელი აღარ გვიკანკალებდეს ცხელი წერტილებიდან ურიგო ამბების მოსასმენად ქვეცნობიერად გამზადებულებს, და ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური, ორგანული შემადგენელი ნაწილის — ტელემაუწყებლობის დიქტორის ხმა — ეთერშია საქართველოს ტელევიზია — სამშობლოს მორიგი წარმატების მაუწყებელი ყოფილიყოს მუდამ.

ნამეტანი თამამი ოცნებაა განა? ძალზე შორს არის ასეთი დღე ნეტავ?..

გალინა ხარებაშვილი.

მწვავე სიგნალი

სად გაქრა კვერცხი?

გარკვეული დროიდან თბილისელთათვის ჩვეული სურათი გახდა მაღაზიის დახლებზე კვერცხიანი კასეტების ხილვა. მაგრამ რამდენიმე დღეა, რაც ეს პროდუქტი გაქრა და კვერცხის შოვნის პრობლემა კვლავ აწუხებს ქალაქელებს. როგორც ცნობილია, ამ გაზაფხულზე ქალაქმა სხვადასხვა არხით მიიღო საკმარისი რაოდენობის კვერცხი. ახლა ეს მარაგი ამოიწურა. ჩვენი საწარმოები კი, როგორც მეკვერცხეობის, ისე საბროილერო მიმართულებისა, ძირითადად, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, შეიძლება ითქვას, დაცემის ზღვარზე არის. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა ახსნა-განმარტებისათვის მიმართა რესპუბლიკაში ამ პროდუქციის მთავარ მომწოდებელს „საქფრინველმრეწვს“.

მისმა ხელმძღვანელმა **გურამ მწარიაშვილმა** გვითხრა, რომ დარგის საწარმოებში, იმის მიუხედავად რომ ზაფხულია, მკვეთრად შემცირდა მოქცეულთა მეკვერცხულობა. იგი ჩვეულებრივი 60-70 პროცენტის ნაცვლად მხოლოდ ორმოც პროცენტს შეადგენს. ამის მიზეზია კომბინირებული საკვების უკმარისობა და მისი დაბალი ხარისხი. საკვები ნორმით გათვალისწინებული 18 პროცენტი პროტეინის ნაცვლად მხოლოდ 8-9 პროცენტს თუ შეიცავს.

ქალაქს დღეში სჭირდება სულ ცოტა ნახევარი მილიონი კვერცხი. ამ მომენტისათვის კი კვერცხის შემოტანა ოდნავ თუ აღემატება ორასი ათას ცალს. ყველაზე სტაბილურად მუშაობენ თამარისის, მეჯვრისხევის, საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკები.

კიდევ უფრო უარესად არის საქმე დასავლეთ საქართველოში, სადაც საწარმოთა უმრავლესობა საერთოდ არ მოქმედებს.

ყოველივე ამას თუ დავუმატებთ საქართველოს სამხედრო გზის გადაკეტვას, რომლითაც ჩვენს მეწარმეებს შემოჰქონდათ კვერცხი და სხვა პროდუქტები რუსეთიდან, ძარცვას რკინიგზასა და საავტომობილო მაგისტრალებზე, მაშინ ნათელი გახდება, თუ რატომ წამოიჭრა კვების პროდუქტებთან დაკავშირებული პრობლემები.

— მაინც, რა არის გამოსავალი? და, საერთოდ, არსებობს თუ არა იგი?

— რა თქმა უნდა, არის, — პირადად მე შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებად მივიჩნევ ერთობლივ საწარმოთა შექმნას საზღვარგარეთის ქვეყნების პარტნიორებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ჩვენი ბაზრით და აქვთ მოწყობილობა, ტექნოლოგიები, შესაბამისი საკვები ბაზა. და პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. ჩვენ, კერძოდ, დავამყარეთ კონტაქტები ცნობილ ესპანელ მეწარმესთან ე. გარსიასთან. იგი უკვე ბრძანდებოდა საქართველოში, გაეცნო აქ მეფრინველეობის მდგომარეობას და, წინასწარი პროგნოზის თანახმად, მზად არის ჩვენთან აქტიური თანამშრომლობისათვის. ახლა მოველით ექსპერტთა ჩამოსვლას, რომლებიც მოამზადებენ შეთანხმების პროექტს.

რას პირდება ეს საქართველოს? ესპანელები აპირებენ, მაგალითად, მოკლე ვადაში, მეკვერცხეობის მიმართულების ერთ და ორ საბროილერო ფაბრიკაში დანერგონ თავიანთი ტექნოლოგია, უზრუნველყონ ისინი კომბინირებული საკვებით. როგორც ჩვენი სპეციალისტები მიიჩნევენ, ასეთი ცვლილებები ძალზე პერსპექტიულია. ფიქრობენ, რომ მარტო ამ სამ საწარმოს შეუძლია გამოუშვას თითქმის ერთისამად მეტი დიეტური პროდუქცია, ვიდრე მთელ დარგს ამჟამად.

რაც შეეხება პირობებს, ისინი ურთიერთხელსაყრელია. ყოველ შემთხვევაში, თუ შეთანხმება მიღწეული იქნება, საქართველოს მხარე მრავალ უპირატესობას მიიღებს.

რ. ახმეტელი.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი
ლევან მართაშვილი

სარედაქციო ფოსტიდან

დიდი ხანია, რაც თიანეთის აფთიაქი მოსახლეობის ფართო ფენებისათვის თითქმის არ არსებობს. აქ წამალს ვერ იყიდი, თუ აქაურ მუშაკებს მუდარით არ სთხოვ, მაგრამ რომ სთხოვ, მოგცემენ?..

ამას წინათ ერწოდან აფთიაქამდე 25 კილომეტრი ხან ფეხით, ხან ტრანსპორტით გამოვიარე, რათა სიცხიანი ავადმყოფისთვის წამალი მიმეტანა. მაგრამ არ მომცეს, საწყობში გამგესთან შედიო, მითხრეს. გამგესთან ადრეც ვიყავი, მაგრამ წამალი არ მომცა და აღარ შევედი... იძულებული გავხდი, მეორე დღეს წამლისთვის თბილისში ჩავსულიყავი.

სამწუხაროდ, რაიონში ერთი აფთიაქი გვაქვს. ერწოში აფთიაქის გახსნას ველოდით, მაგრამ ამაოდ. არადა, უბრალოდ კალცექსის, წნევის ფხვნილის ან თვალის წვეთების შესაძენად 20-25 კილომეტრის გავლა გვიხდება. მაშინაც აფთიაქი დაკეტილია ან აღწერაა, თუ ღიაა, შეიძლება მაინც ვერ შეიძინო...

გ. ქისტაური,
თიანეთის რაიონი, სოფელი ერწო.

●

მცხეთის რაიონის სოფელ ერედასა და ძალისში 200-მდე ომისა და შრომის პენსიონერი ცხოვრობს, აქედან 40-მდე მეორე მსოფლიო ომის პენსიონერია, რომლებიც ოჯახს პენსიით არჩენენ.

იყო დრო, როცა სოფლის ფოსტალიონს ყოველთვიურად დროზე მოჰქონდა პენსია, რითაც კმაყოფილები ვიყავით. მაგრამ ამ ბოლო დროს პენსიას 2-3 და 4 თვის დაგვიანებით ვღებულობთ.

ჩვენი სოფლის ფოსტის გამგე მცხეთის ბანკს ხშირად კი აკითხავს, მაგრამ რა?! ფული არ არისო, უარით ისტუმრებენ.

რა ვქნათ პენსიონერებმა? რით ვირჩინოთ თავი?

ვლადიმერ ზოლოშვილი,
მცხეთის რაიონი, სოფ. ძალისი.

●

ეპილეფსია მძიმე ავადმყოფობაა, ამბობენ ექიმები. მაშ თუ ასეა, კაცი, რომელიც ამ სენით დაავადებულია 20-25 წელი და ამის გამო პენსიას ღებულობს, ყოველ წელს რატომღა გაჰყავთ კომისიაზე და აწვალებენ საბუთების შეგროვებით? რაიმე ცვლილებების იმედი აქვთ თუ?...

რატომ ვიწვალებთ თავს და ვაწვალებთ ავადმყოფებსაც?

ეპილეფსიის პირველად და მეორად სახეობებს კი არჩევენ, მაგრამ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

რით აიხსნება ისიც, ადრე ავადმყოფს, რომელსაც გულყრა თვეში ერთხელ მოსდიოდა, მეორე ჯგუფის ინვალიდად თვლიდნენ, დღეს კი ორ კვირაში ერთხელ რომ ემართება, მესამე ჯგუფის ინვალიდად თვლიან? ეპილეფსიით დაავადებულთათვის ჯგუფის დადგენა ასე რატომ „გამკაცრდა?".

გ. თუშაბრამიშვილი,
თბილისი.

●

ის, რაც ამ ბოლო დროს თბილისის ბაზრებში ხდება, ყურს არ დაეჯერება.

ახლა ყველგან ამას გაიგონებთ — ბაზრებს ცეცხლი უკიდიაო. ეს მართლაც ასეა. მაგრამ იგი მარტო მყიდველების პრობლემა არ არის. ეს გამყიდველების პრობლემაცაა. ეს როგორო, ალბათ იკითხავთ. როგორ და... სახლი რომ გეწვოდეს, ხელი მაინც მოითბეო, ანდაზისა არ იყოს, ყველა ქურდი და ოხერი ცდილობს ხელის მოთბობას. ამას ბაზრების ზოგიერთ ხელმრუდ მუშა-დამლაგებელსა და ბოშა ქალებზე მოგახსენებთ...

ჯერ ერთი, ძვირდება არა მარტო პროდუქტები, არამედ მისი ბაზრების ტერიტორიაზე შეტანაც... მერეა და... დღისითმზისით, თვალსა და ხელს შუა იკარგება ხახვით სავსე ტომრები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩაბარებული ცარიელი ტომრებიც. ღმერთო, შეგცოდე და ვფიქრობ, ამას ხელმრუდი მუშა-დამლაგებლები უნდა სჩადიოდნენ.

ახლა ბოშა ქალები? დახლებიდან ყაჩაღურად იტაცებენ პროდუქტებს. ამით სარგებლობს ისევ ზოგიერთი ხელმრუდი მუშა-დამლაგებელი და ბოშა ქალებთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულ გამყიდველებს ზურგს უკან პროდუქტებით სავსე ტომრებს ოსტატურად აცლიან, და არის ერთი წივილკივილი, ცემა-ტყეპა... გამკითხავი კი არავინ ჩანს.

მიხეილ ჯოხაძე,
საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული.

●

ამ წერილს კახეთის რაიონებიდან თბილისის ნავთლუღის ბაზარში პროდუქტების გასაყიდად ჩამოსული გლეხები გწერთ.

იყო დრო, როცა ამ ბაზარს საკუთარი სასტუმრო — გლეხთა სახლი ჰქონდა. მაგრამ იგი ჩამოართვეს და სასტუმროების სამმართველოს გადასცეს, ამით შელახეს მეურნის, მშრომელი გლეხკაცის ინტერესები.

მას შემდეგ, რაც საკუთარი თავშესაფარი აღარ გვაქვს, კერძო სახლებში გვიხდება ღამის გათევა, რაც ძალიან ძვირი გვიჯდება. ჰოდა, ჩვენც იძულებული ვართ გასაყიდ პროდუქტებს ცეცხლის ფასი დავადოთ... ტრანსპორტიც ისე გაძვირდა, ლამის პროდუქტები აღარ ჩამოვიტანოთ. ანდა ღირს კი კიდევ თბილისის ბაზრებში ჩვენი ჩამოსვლა, მით უმეტეს, როცა აქ საკუთარი თავშესაფარიც არ გაგვაჩნია.

შ. მარგველაშვილი, ზ. მაჭარაძე, მ. მღვინიშვილი, მ. ქაქაშვილი და სხვები.

კინოვერსია

ცხოვრება სპირალია

მეათე მუზა



არცთუ ისე დიდი ხნის წინ ცხოვრობდა ჩვენში საოცრად ჭკვიანი კაცი, მწერალი, ფანტასტიკოსი ალექსანდრე ბელიაევი. ჩემი თაობა ხარბად ეწაფებოდა მის ნაწარმოებებს — უკიდეგანო ფანტაზიით, ჩახლართული ინტრიგით აღსავსე თხზულებებს, რომელთა კითხვისას უკანასკნელ გვერდამდე ვერ გაიგებდი, ბოლოს და ბოლოს ვინ გაიმარჯვებდა.

მე რეალურ პიროვნებად მიმაჩნდა და მიყვარდა იქთიანდრი, რომანტიკული „კაცი-ამფიბია", რომელიც ზღვის სიღრმეში ცხოვრობდა და თავისი სიყვარულის გულისთვის გაწირა ყოველივე; ვეთაყვანებოდი კეთილშობილ პროფესორ დოუელს, რომლის ბრძენი თავიც, მისი სიკვდილის მერე ბინძური მიზნების მისაღწევად გამოიყენეს; ამდენი ხნის შემდეგ, დღესაც მაოცებს ფანტასტიკოსის გამჭრიახობა, რომელიც რომანში „ჰაერის გამყიდველი" განჭვრეტდა და გვაფრთხილებდა, დადგება დრო, როდესაც ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგანი გახდება: არა მარტო პური, არამედ თვით ღვთისაგან ნაბოძები ჰაერიც, არა მარტო ადამიანის სხეული, რომელიც არცთუ იშვიათად ეუბნება უარს ემმას შეფარებაზე, არამედ ტვინიც მთელი თავისი აზრებით. და ყველაზე ნათელი სულიც კი გაიყიდება, თუ სატანა შეეხება თავისი ხარბი საცეცებით.

ბევრი ბედნიერი წამი უჩუქებია ჩემთვის კინოს, მაგრამ მაინც სულ მიღრღნიდა გულს რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ფილმი-ფანტასტიკა.

და აი მოულოდნელად მოხდა მოსახდენი. ცნობილმა რეჟისორმა და მსახიობმა გიული ჭოხონელიძემ შემიტყუა დარბაზში ლაბორატორიიდან იმ წამს გამოტანილი ახალი მასალის გასინჯვაზე. მას არაფერი უთქვამს თავის ახალ ფილმზე, რომელიც სანახევროდ უკვე დამონტაჟებული იყო, უბრალოდ, გამორთო შუქი — და ეკრანზე გამოჩნდა დაძაბული სახე უცნაური კაცისა, რომლისთვისაც ეს-ეს არის გადაენერგათ ტვინი. ეს კაცი ოპერაციის შემდეგ პირველად ხედავდა თავის ახალ გამოსახულებას სარკეში და მისი თვალების დაძაბულობა, სულიერი აღელვება, მკვდრეთით აღმდგარი ტვინის აშკარა ფეთქვა, უხმო, პირსმომდგარი გმინვა, ამოხეთქვას რომ ლამობდა ახალგაზრდა, ლამაზი, მაგრამ უცხო სხეულიდან, რომელშიც სცადეს ჩაესახლებინათ სხვისი სული — ყოველივე ეს მყისიერად გადმომედო მე, საიდანღაც მომესმა ამ ეპიზოდის ხმოვანი ქარგა, თითქოს უშუალოდ შევეხეო, ისე ცხადად შევიგრძენი ტვინის ვულკანური თუხთუხი, ტვინისა, რომელსაც მოელია ერთი პირი სიცოცხლე, თავისი ვნებათაღელვითა და იმედგაცრუებით, სიყვარულითა და სიძულვილით, გაფრენილი წამებით, კოსმოსით და... ყოველივე ეს ერთმანეთში აირია — ვნებათაღელვის თვალისმომჭრელი ელვარებაც, წყვდიადში აელვარებული სიძულვილიც და შმაგი წყურვილიც ყოველივეს ხელახლა განცდისას... ხმისამოუღებლად გავეშურე საპარატოში და რამდენიმე საღამოს ზედიზედ ვეძებდი, ვულკანის თუხთუხსა და კოსმოსის ზრიალში, იმ ხმას, რომელიც ამეტყველებდა დაგუბებულ გრძნობებსა და გამოუთქმელ ვნებათაღელვას. და როდესაც მივხვდი, რომ ვიპოვე რაღაც მსგავსი რამ, რისი გამოყენებაც არ შემრცხვებოდა ჩემს მომავალ ფილმში, მივედი რეჟისორთან და ერთად მივუსხედით სამონტაჟო მაგიდას. პატარა ბიჭივით ვღელავდი, ჩავრთე ფონოგრამა და გამოსახულება, და აი, გასისხლიანებული ტვინი, რომლის გამოსახულებითაც იწყებოდა ყოველი სერია, ნერვულად აცახცახდა, ათრთოლდა, გაღვიძებული ამჯერდა და აკვნესდა. მივხვდით, რომ ფილმის ბგერათწერის კამერტონი ნაპოვნია, რომ მე ვიმუშავებ ამ ფილმზე, რომ ბოლოს და ბოლოს მე შევხვდი ფანტასტიკას, რომელიც ასე მიყვარდა!

მე მოხარული ვარ, რომ დიდმა და ძნელმა სურათმა რაღაცით გაამდიდრა ჩვენი უღიმღამო დღევანდელობა, შემატა მას ბევრი რამ იმ სურნელოვანი და ამაღელვებელი სამყაროდან, რომელსაც „ფათერაკების საუფლო" ჰქვია. გულს უხარია, როცა ვხედავ ხალხმრავალ რიგებს კინოთეატრებთან, სადაც ეს ფილმი გადის. მაშასადამე, მარტო მე კი არ მომწონებია იგი. არის ხალხი, რომელიც არ უყურებს იმას, რომ ფილმი ოთხსერიანია, — არსებითად ეს კინორომანია; — ბილეთებიც საკმაოდ ძვირია, და დადის ყველა სერიაზე. მოდი და დაიჯერე ამის შემდეგ კოლეგების წუწუნი, კინო მოკვდაო. გააჩნია, რომელი კინო. რა მაყურებლის ბრალია, რომ ბევრი ფილმი უდღეური იბადება.

მე მიყვარს „სპირალი". ვხედავ უამრავ ნაკლს — ეს კი ყოველთვის ასეა, როცა ჩემს ნამუშევარს ვუყურებ, მარტო ნაკლოვანებებს ვხედავ! — ვხედავ, და მაინც მიყვარს. მიყვარს იმიტომ, რომ უჩვეულოა, იმიტომ, რომ მასში ბევრი რამ არის ლამაზი, იმიტომ, რომ მომცა საშუალება გულიანად მემუშავა, იმიტომ, რომ გავიგე იგი... ვიღაც ვერ გაიგებს, ვიღაც მოიწყენს ამ ფილმზე, ვიღაც შეამჩნევს რაღაც ისეთს, რაც ჩვენ გამოგვრჩა. ადვილი შესაძლებელია... მაგრამ მე სულ სხვა რაღაც მინდა ვთქვა... მინდა გესაუბროთ იმაზე, რაც მე გავიგე „სპირალში".

სპირალი... მაინც რაოდენ ვერაგულია ეს მარტივი კლაკნილა. თითქოს სულ რამდენიმე ხვეულია, არადა, თუ გაჰყევი, შეუმჩნევლად ამოგაყოფინებს თავს სულ სხვა განზომილებაში.

აი, ფილმის გმირებიც სპირალზე შეხვდნენ ერთმანეთს. ერთმა უკვე მიაღწია კენწეროს, მეორემ — ფსკერს. ვიღაცის ხელმა გადააყირავა მათი სპირალი. კენწერო სამარედ იქცა; ქვესკნელი — ზესკნელად.

„სპირალი"... ასე ეწოდება გურამ ფანჯიკიძის რომანს, ასე უწოდა გიული ჭოხონელიძემაც ფილმს, რომელიც რომანის საფუძველზეა გადაღებული. ფილმშიც არის ბევრი საოცარი დამთხვევა ძველ მითთან: აქაც არიან ყვავები, ადამიანის ხმით რომ გაჰკივიან რალაცას გმირის ანთებულ ტვინში, ვევება მზე, ჩაშავებულ ცაზე რომ გიზგიზებს ჭექა-ქუხილისა და წვიმის მიუხედავად, არის უკეთურიც, ღამღამობით რომ დაძრწის ჩვენს მიწაზე, არის შორეული სინათლის ველიც, რომლის სხივსაც გადაეყრება ფილმის გმირი, გადაეყრება სულ ერთი წამით და ვერ მოასწრებს თავისი უკუნით მოცული სულის განათებას.

ეტყობა, ეს დამთხვევები არ უნდა იყოს შემთხვევითი. კაცმა რომ თქვას, რომანსაც და ფილმსაც მითი უდევთ საფუძვლად, მითი სულის შესახებ, ჩვენი გარდაცვალების შესახებ. ყოველი ჩვენგანი დაფიქრებულა: „სად ქრება ყველაფერი... ამბები... სიყვარული... სიძულვილი... ცოდნა.., ყოველივე, რასაც კაცი აგროვებს თავის სულში წვეთწვეთ თავისი სიცოცხლის მანძილზე... მაინც, რა არის გარდაცვალება?!.. რა ქრება და რა რჩება?..

თავში ალექსანდრე ბელიაევი გავიხსენე. იგი უფრო მარტივ გზას დაადგა: თავი მოკვეთა გარდაცვლილ პროფესორს და მოარგო რთულ აგრეგატს, რომელიც ხელოვნურად ასაზრდოებს ტვინში სიცოცხლეს. აქ განსაკუთრებული ფსიქოლოგიურ-ეთიკური დაპირისპირება უცხო არსთან არ ყოფილა.

გურამ ფანჯიკიძე კი სურათს სულ სხვა რაკურსით გვიჩვენებს. იგი უფრო მწვავეა, უფრო ფაქიზი, უფრო ავანტიურული და უფრო ფართო.

...გმირები, აკადემიკოსი დავით გიორგაძე, შესანიშნავი ადამიანი და მეცნიერი, რომელმაც კაცობრიობა უდიდესი აღმოჩენით გაამდიდრა, მოყვარული მეუღლე და მამა (მის როლს ფილმში ასრულებს ოთარ მეღვინეთუხუცესი) და მთლად ახალგაზრდა, მაგრამ მრავლისმნახველი ნარკომანი და ყომარბაზი, ცინიკოსი მძარცველი და ავაზაკი კორინთელი (მსახიობი ლევან უჩანეიშვილი) — სპირალზე ხვდებიან იმ მომენტში, როდესაც აკადემიკოსს უღალატებს დაღლილ-დაქანცული და ავადმყოფი გული, ხოლო ნარკომანის ტვინი ავტოკატასტროფაში იღუპება და სპირალის იმ სიბრტყეზე, სადაც ამ ორი გმირის ბედი იკვეთება, ჩნდება კიდევ ერთი პიროვნება, ქირურგი ზურაბ თორაძე (ეს როლი შეასრულა ფილმის რეჟისორმა გიული ჭოხონელიძემ), ნიჭიერი კაცი, რომლისთვისაც არ არსებობს სინდისი, ძლიერი და დაუნდობელი მტაცებელი, რომელიც უმოწყალოდ არჩევს მსხვერპლს თავისი მიზნის მისაღწევად.

არადა, მიზანი შემზარავია. გაიხადოს მთელი მსოფლიო თავის საუფლოდ, დაიმონოს სხვათა გული და გონება, მართოს მათი სულები, რომლებშიც ბრმა მორჩილების გენები ჩადო. სატანის მიზანი...

ქირურგი უკუაგდებს ზნეობას, მეფისტოფელის მსგავსად, უარყოფს ქრისტეს ყველა მცნებას, და აკეთებს შემზარავ ოპერაციას — გადაუნერგავს გავარვარებული ლავასავით მოთუხთუხე აკადემიკოსის ტვინს კორინთელის ახალგაზრდა დიდებულ სხეულს.

თითქოს რა უნდა იყოს აქ შემზარავი? პირიქით... სხეულიც და ტვინიც განწირულია. ასე სჯობია, ალბათ, რაღაც შეინარჩუნო სიცოცხლისათვის, გამოიყენო სხეულიც და ტვინიც ადამიანთა სასიკეთოდ. და სწორედ ეს საკითხი აღმოჩნდება უმთავრესი, ეს ხდება საყოველთაო ბედისწერის სპირალზე წერტილი შებრკოლებისა, რომელსაც ვერავინ ვერ გადალახავს, ზეცას თუ არ დაეკითხა...

რეჟისორმა ტყუილად როდი შემოიტანა ფილმში ასეთი სცენა. ქირურგი, რომელსაც უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი აქვს, მიდის ტაძარში, რათა ჩაიჩუმოს სულში უკანასკნელი ეჭვები.

ტაძრის შესასვლელთან, კლდეში პაწაწკინტელა წყარო მოწანწკარებს. ქირურგი შეუშვერს წყლის წვეთებს ხელებს, რომლებმაც მომდევნო კადრებში მკრეხელობა უნდა ჩაიდინონ, და ჩვენ თითქოს ზეციდან ჩამოგვესმის მღვდელთმსახურის ხმა: „ეს ქრისტეს ცრემლია, ძმაო ჩემო... განიბანე ამ ცრემლით თვალნი და აგეხილება".

— მე ჩემი გზა მაქვს... — მტკიცე ხმით უპასუხებს ქირურგი.

ყველაფერი სწორია. თვალი ეხილება მხოლოდ იმას, ვისაც სურს აეხილოს... რაკი სხვათა ბედის განმგებლის უფლება მიითვისა, ახლა არც ამას კმარობს და „მძლეთამძლის" ტიტულს ეპოტინება. ამ კაცს, რომელმაც სპირალი თავდაყირა დააყენა, მართლა ჰგონია, რომ ყველას ბედის განმგებელი თვითონ არის. აი ახლაც, მუხლმოდრეკილი რომ დგას მღვდლის წინაშე, მზერა მონასტრის გუმბათისაკენ გაურბის — ზეცაზე უჭირავს თვალი...

ოპერაციის დროს (სხვათა შორის — გადაღებულია ტვინის ნამდვილი ოპერაცია, უაღრესად ეფექტური და, ცოტა არ იყოს, შემზარავი). ქირურგი თორაძე ცდილობს უვნებლად შეუნარჩუნოს სხეულს ჰიპოფიზი, ახალგაზრდა გმირის ის უჯრედები, რომლებიც აკადემიკოსის ტვინს დაიმორჩილებენ და რომელთა მეშვეობით თვით თორაძე მართავს სპირალს. თურმე გვქონია ჩვენ ორგანიზმში უმცირესი უხილავი უჯრედები, რომლებსაც სხვადასხვა სიბრტყით მივყავართ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არიან დამოკიდებულნი სხვის ნებაზე.

დიდებული და სევდისმომგვრელია ოდესღაც ვეებერთელა ტაძრის ნანგრევები. ტაძრის გალავნის მძლავრი ნანგრევების ორგანულ ნაწილად აღიქმის მღვდელიც. მასში უცებ ვერც კი შეიცნობ თენგიზ არჩვაძეს. მთლად გაჭაღარავებული, მაგრამ ჭაბუკურად შემართული, იგი მტკიცე ნაბიჯით მიდის საკურთხეველთან და მწუხარე ხმით ეუბნება თორაძეს, რომ მსოფლიო დაიღუპება, თუ არ შევწყვიტეთ უგუნურება, რომელსაც ძალაუფლების ხელში ჩაგდების ჟინი გვადენინებს. მის თვალებში თანაგრძნობა გამოსჭვივის, მღვდელთმსახურმა სხვაზე უკეთ იცის, რომ მსოფლიო ავადაა და ავადმყოფობა მიშვებულია, მან იცის, რომ თორაძე მაინც ჩაიდენს განზრახულს, მაგრამ ისიც იცის, რომ რჩევა-დარიგება არ გასჭრის, ვინაიდან ყველამ თავის ფეხით უნდა გაიაროს თავისი გოლგოთა.

აკი ჩვენც გავიარეთ... ტყვიებით არის დაცხრილული ქაშვეთი... ნანგრევებია ეკლესიის ირგვლივ და ჩვენს ირგვლივ. ფილმში ყოველი კადრი მოჭიმული მშვილდივითაა დაძაბული, მათ შემყურეს უცებ გავიწყდება, რომ ფილმის ფაბულა ფანტასტიკურია, ყველაფერი ხდება ჩვენთვის ნაცნობ ქუჩებში, ნაცნობ ინტერიერებში მოქმედი პირნი ლაპარაკობენ ჩვენთვის ცნობილი ინტონაციებით. ყოველივე ეს ადგილს არ უტოვებს ეჭვებს მომხდარის სინამდვილეში. თავადაც იძაბები, შინაგანად ითავისებ კადრების დაძაბულობას. აქ ყველაფერია: ავანტიურა, დანაშაულობანი, დევნა, სიყვარული, მკვლელობა და, რაც მთავარია, არის ჭკვიანური აზრი, ყოველივე ეს ხელს უწყობს იმას, რომ მაყურებელი თანაუგრძნობდეს გმირებს, თვალი ვერ მოსწყვიტოს ეკრანს.

ფილმი ლამაზია. ამ ბოლო დროს ჩვენ სამწუხაროდ გადავეჩვიეთ ლამაზ ფილმებს. რეჟისორები, მეტადრე ახალგაზრდები, რაღაც დაუდევრად იღებენ თავიანთ ფილმებს, ალბათ, ჰგონიათ, რომ ასე უფრო ახლოს არიან ცხოვრებასთან. გიული ჭოხონელიძის ფილმი კი ხაზგასმით ლამაზია. საოცრად ლამაზია ფილმში თბილისი, ჩვენი ფაქიზი და, თურმე, ასეთი უმწეო ქალაქი. დღეს განსაკუთრებული ტკივილით აკვირდები კადრებს, „დეკემბრის ომამდელი" თბილისი რომ აღუბეჭდავთ, რა მშვენიერია იგი! რა სიყვარულით და ოსტატობით გადაუღია აბანოთუბანი, თათრის მოედანი, „ივერია", „ბერიკონი" ოპერატორ აბესალომ მაისურაძეს. ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს პირველად ხედავ ამ სანაპიროს, ამ ქალაქის პროსპექტებსა და ქუჩაბანდებს, ოპერატორის კეთილმა და ხალასმა მზერამ შთამომავლობას შემოუნახა ძველი თბილისის სიტურფე და განუმეორებელი სურნელი.

აბესალომ მაისურაძეზე რეჟისორი სიამოვნებით ლაპარაკობს: „აბიკოს მოსვლამ დამამშვიდა. იგი ერთ-ერთია საუკეთესოთა შორის, — თუ არა საუკეთესო, — თავის პროფესიაში. მშვიდი, დინჯი, დარბაისელი, უაღრესად თავდადებული, როცა გვერდით გყავს პროფესიონალი, როცა გვერდით გყავს კაცი, რომელსაც შეგიძლია მიენდო, მაშინ არაფრის არ გეშინია...

...განა გასაოცარი არ არის ოთარ მეღვინეთუხუცესის ნიჭი? ამ ფილმში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით მის უბადლო მრავალსახეობაში. აქ იგი სულ სხვაა, ვიდრე „დათა თუთაშხიაში". მეღვინეთუხუცესი ხომ უდიდესი ტრაგიკოსია, როლები იყოს თორემ... არადა, წლები გარბის, ის კი ჯერ არც მიახლოებია იმის მაქსიმუმს, რაც ღვთისგან აქვს ნაბოძები. ეს შესანიშნავი პროფესიონალი ამავე დროს მეამბოხე ანარქისტიც არის. არავინ იცის, როდის, რას მოიმოქმედებს. დააკვირდით მის თვალებს — რამდენი ტკივილია მათში!

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლევან უჩანეიშვილი. ამ ფილმში, თავისი აბსურდით ფორმანის „გუგულს" რომ მოგვაგონებს, მსახიობი შინაურ სტიქიაში გრძნობს თავს. მისი ანტურაჟი, პლასტიკა, ხმა — ხან რაღაც მექანიკურუსიცოცხლო, ხან გაავებული, ხან კი ნაღვლიანი — ყველაფერი საოცრად ამდიდრებს გმირის სახებას. გასაოცარია მისი შრომისუნარიანობა. იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება ყოველივეს, რაც გადაღებას ეხება: გმირს, კოსტიუმს, გახმოვანებას. მუშაობაში მისთვის არ არსებობს წვრილმანები, ვერავითარი სიძნელე ვერ დაახევინებს უკან, და თუ იგი დარწმუნებულია თავის სისწორეში, ვერ გადაათქმევინებ. თავისი სიჯიუტით ნახევარი სიცოცხლე წამართვა, — მეუბნება გიული ჭოხონელიძე, და აქვე დასძენს: სამაგიეროდ, ყველაფერს პროფესიულად, ზუსტად აკეთებს: ოსტატია... მე რომ ხელახლა გადამეღო ეს სურათი, კვლავ ლევანს მოვიწვევდი.

გიული ჭოხონელიძეს უყვარს პროფესიონალები. მის ფილმში შემთხვევითი ხალხი არ თამაშობს. ფილმში თქვენ შეხვდებით იმათ, ვისაც კარგად იცნობთ. როგორც ყოველთვის, მაღალ აქტიორულ დონეზე ასრულებენ როლებს ედიშერ მაღალაშვილი, ლია ელიავა, გურამ ფირცხალავა, გურამ საღარაძე, თენგიზ არჩვაძე. დრო ვერაფერს აკლებს მადლიან ოსტატებს... ამ ფილმში ერთი პატარა სასწაული მოხდა — მე პირადად დავრწმუნდი, რომ რაც წლები გადის, მით უფრო ლამაზნი ხდებიან ისინი, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე!

ჩვენს თვალწინ გაიზარდა კიდევ ერთი ტალანტი — გია ლეჟავა, მუდამ შემართული, ზუსტი, მრავლისმეტყველი თვალებითა და ძუნწი ჟესტიკულაციით. იგი ტოლს არ დაუდებს ოსტატობით ცნობილ ევროპელ „ვარსკვლავებს", ოღონდ შესაფერისი როლი მიეცით.

„სპირალში" იგი ასახიერებს დამნაშავეთა სამყაროს „რაინდს", კაცს, რომელსაც ვერ წარმოუდგენია, რომ ქურდობისა და ძარცვა-გლეჯის გარდა არსებობს სხვა სამყაროც — მუსიკის, სიყვარულის, სიკეთის სამყარო. იგი პირველობის ჟინით არის შეპყრობილი, უნდა, რომ მეფე იყოს, სულ ერთია, ვისი, თუნდაც თავისნაირი ავაზაკებისა.

მტანჯველია მთავარი გმირის რამაზ კორინთელის გოლგოთის გზა. ფილმი აღსავსეა სცენებით, რომელთა შემყურეს ძარღვებში სისხლი გეყინება. რად ღირს, თუნდაც, აკადემიკოსის დაკრძალვის სცენა, რომელსაც რამაზი ხედავს გარდაცვლილის ტვინით. ანუ, მოაზროვნე და, მაშასადამე ცოცხალი ტვინი აცილებს თავისივე ცხედარს. საინტერესოა რეჟისორისეული მიგნება-გამოთხოვების კადრი გადაღებულია სამარის სიღრმიდან და იმ რამდენიმე წამში, კუბოს ფიცარს მიწა რომ აცვივა, კოშტების შრიალში ისმის წარმავალის გამოსათხოვარი ჩურჩული...

ფილმის ერთ-ერთი პირველი მაყურებლები გახდნენ სტიქიით დანგრეული ამბროლაურის სოფლის მცხოვრებნი. იგი გადიოდა კლუბში, რომელსაც მიწისძვრის შემდეგ კედლები დაბრეცილი და დახეთქილი ჰქონდა; და ხალხი კლუბში აღარ შედიოდა. განცდილი შიში ღრმად გამჯდარიყო ადამიანთა სულში. ხალხს ეჩვენებოდა, მიწა კიდევ ირყევა და კედლები ეს-ეს არის ჩამოინგრევაო. თურმე, ყოფილა ასეთი სინდრომი. და აი, გიული ჭოხონელიძემ გადაწყვიტა მოეწყო საქველმოქმედო საღამო, გაეშვა ახალგადაღებული ფილმი. ცოტა არ იყოს, ნერვიულობდა, ვაითუ მაყურებელს დაზიანებულ კედლებისა შეეშინდეს და არ მოვიდესო. მართლაც, პირველად ფრთხილობდნენ, მაგრამ თანდათან თითქმის მთელი სოფელი შეიკრიბა. ბევრმა თავიანთი სკამები მოიტანეს, ბევრიც ფეხზე იდგა, და ხუთი საათის განმავლობაში არავის ფეხი არ მოუცვლია. ბოლოს კი ტაშმა იქუხა. იმდენ ხანს გრიალებდა ტაში, რომ ცხადი გახდა: შიშმა დატოვა ადამიანები, ტვინის რომელიღაც უჯრედი შეივსო რაღაც კეთილით, რაც სტიქიის მრისხანე სიმპტომებზე უფრო ძლიერია.

ახლა გიული ჭოხონელიძე მუშაობას იწყებს ახალ ფილმებზე. იგი ასახავს სულ სხვა ხანას. ჩვენი წინაპრების ხანას — ეძღვნება ანთიმოზ ივერიელს, დიდ პიროვნებას, რომელმაც მთელი სიცოცხლე სამშობლოსაგან დაშორებით გაატარა, მაგრამ წუთითაც არ დაივიწყებია იგი, და ყველაფერი იღონა მის სასიკეთოდ და სადიდებლად...

გიული ჭოხონელიძეს უფრო მეტად იცნობენ როგორც მსახიობს. ორმოცდაათზე მეტი მთავარი როლი შეუსრულებია მას სხვადასხვა კინოსტუდიებში.

— „ორმოცდაათი... — სევდიანად ელიმება გიულის. — ბევრი რამ შეიძლება ითქვას თითოეულ სახეზე, მაგრამ ერთი რამ არის საკვირველი. ყველა გმირი ტრაგიკული ბედის მატარებელია, ყველანი იღუპებიან ფინალში"...

იღუპებიანო — მაშასადამე არ შემდრკალან! ძლიერი პიროვნება, ძლიერი გრძნობები... ძლიერი პიროვნება იშვიათად არის ბედნიერი.

„ჩემი გმირები ყოველთვის ცუდად იყვნენ ჩაცმული, — განაგრძობს მსახიობი, — მე ყოველთვის რაღაც ძონძებს მაცმევდნენ, და მარტო ბაგრატიონის როლში გამიღიმა ბედმა..." კოსტიუმი მისცა მუზეუმმა, რომელშიც ძველებური ტანსაცმელი ინახებოდა. ბაგრატიონის მუნდირი ზუსტად მოადგა მსახიობს. გადაღების შემდეგ კი მუზეუმმა მეფურად დააჯილდოვა იგი — საჩუქრად უძღვნა ის მუნდირი. ახლა სრული რეგალიებით შემკული ეს მუნდირი ბინაში უკიდია. „ეს ის მუნდირია, ოცდაათი წლის წინ რომ შეკერეს „მოსფილმში" ფილმისათვის „ომი და მშვიდობა" — ღიმილით იხსენებს გიული — იქ პირველად შევასრულე მხედართმთავრის როლი, ოცდაათი წელი გავიდა და მუნდირი დღესაც ისე მაზის, როგორც მესამედი საუკუნის წინ...". ანთიმოზ ივერიელს ასეთი მდიდრული კოსტიუმები არ უტარებია, ასე რომ, გიულის მოუწევს კვლავ ძველმანებს დაუბრუნდეს.

მცირეოდენი დუმილის შემდეგ კი გიულიმ ერთი პატარა საიდუმლო გამანდო:

— როცა ამა თუ იმ როლზე ვიწყებ მუშაობას, მე თავდაპირველად, ვეძებ ცხოვრებისეულ პროტოტიპს, რომლისგანაც შემიძლია გადმოვიღო მისი ხასიათი, გარეგნობა, ჟესტიკულაცია და, რაც მთავარია, სულიერი ფერები. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებაა მოაზროვნე პიროვნების, მაძიებელი გმირის ძებნა. ამიტომაც იყო, რომ „სპირალის" ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის, ქირურგ ზ. თორაძის სახე, რომელსაც მე ვასრულებ, ვუძღვენი ბავშვობის მეგობარს, პროფესორ რეზო იაშვილს. ისიც, როგორც ჩემი გმირი, ფანატიკურად არის შეყვარებული თავის საქმეზე, ოღონდ ერთი განსხვავებით — თორაძე თავის ნიჭს ახმარს ეშმაკის სამსახურს, რეზო იაშვილი კი მთელი სიცოცხლე სიკეთეს ემსახურება...

— ძნელი იყო „სპირალის" გადაღება? ოჰ! ნახევარი სიცოცხლე შევალიე... მეგობრების დახმარება რომ არა, ასეთი ფილმის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა, მითხრა მან.

ამ ფილმის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, ვაჟა გიგაშვილია. მისი სცენარების მიხედვით ჩვენს სტუდიას ბევრი ფილმი გადაუღია. „ამბავი სურამის ციხისა", „იმედის მწვანე კუნძული", — სხვადასხვა თემები, სხვადასხვა ჟანრები. ანთიმოზ ივერიელისადმი მიძღვნილი ფილმის სცენარსაც იგი წერს. აი, რა თქვა რომანის ავტორმა გურამ ფანჯიკიძემ.

— თავიდან შორს დავიჭირე გიული ჭოხონელიძის თხოვნა, გადაეღო ფილმი ჩემი რომანის მიხედვით. რომანში ბევრი რამ არის ისეთი, რისი ეკრანულ ენაზე ამეტყველებაც შეუძლებლად მესახებოდა, მაგრამ რეჟისორის ნებისყოფამ და შეუპოვრობამ თავისი ქნა. თანხმობა კი მივეცი, მაგრამ სცენარის დაწერაზე კატეგორიული უარი ვთქვი. აბა, რა გულით უნდა შემეკვეცა ხმოცგვერდიან სცენარამდე საკუთარი ხუთასგვერდიანი რომანი. ძალიან გამიხარდა, რომ სცენარის დაწერა იკისრა საუცხოო მწერალმა და დრამატურგმა ვაჟა გიგაშვილმა. „სპირალი" უკვე მეოთხედ გამოდის მოსკოვში. კარგა ხნის წინ გამოიცა ბულგარეთში, ფინეთში, სულ მალე უნგრეთის წიგნის მაღაზიებშიც გაჩნდება. როგორც თბილისში ყოფნისას ბრძანა ამერიკელმა ქართველოლოგმა კიმ ბრატვაიტმა, მას გადაუწყვეტია რომანი „სპირალი" ინგლისურ ენაზე თარგმნოს. ბუნებრივია, ვღელავდი, როგორი იქნებოდა ეკრანიზაცია, როგორ შეუწყობდა ხელს რომანის პოპულარიზაციას? ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რეჟისორმა ღირსეულად გაართვა თავი ამოცანას. ფილმმა გაიმარჯვა და ამიტომ მადლიერებით მინდა მივულოცო რეჟისორს, სცენარისტს, მთელ შემოქმედებით ჯგუფს დიდი სამუშაოს დასრულება.

ჩვენც რა გვეთქმის, მადლობის მეტი! მართლაც, დიდი ნამუშევარია და ახლა იგი მაყურებლის კუთვნილება გახდა. იწყება ახალი საქმე. ცხოვრება სპირალია. ახალი ხვეულები, ახალი შეხვედრები... ღმერთმა ქნას, ისინი ბედნიერი ყოფილიყონ...

ბარი კუნცევი,
ოპერატორი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ჯონ შალიკაშვილი ევროპაში განლაგებული ნატოს ძალების ახალი სარდალია

ბრიუსელის ახლოს მდებარე დაბა კასტოში ოთხშაბათს 17 ქვემეხმა დაქუხა შედლუბი და ნატოს გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალთა შტაბს ოთხმა რეაქტიულმა გამანადგურებელმა გადაუქროლა.

ასეთი იყო ევროპაში განლაგებულ ნატოს გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალთა ახალი უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე გენერალ ჯონ შალიკაშვილის შედგომის ცერემონიალი. შალიკაშვილმა ამ პოსტზე შეცვალა 63 წლის ჯონ გელვინი, რომელმაც გადადგომა ითხოვა.

ამ შაბათს ქართული გვარის მქონე ამერიკელ გენერალს 56 წელი შეუსრულდება. იგი ვარშავაში დაიბადა პოლონელი ქალისა და ქართველი კაცის ოჯახში. პოლონეთში დიდხანს არ უცხოვრია, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა. ამერიკის დედაქალაქში დაამთავრა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, სადაც საერთაშორისო ურთიერთობას სწავლობდა, შემდეგ ილინოისის შტატში — ბრედლის უნივერსიტეტი. მისი სამხედრო პროფილი არტილერიაა. ინგლისურის გარდა თავისუფლად ფლობს პოლონურ და გერმანულ ენებს.

„შალი" — ასე უწოდებენ მას ამერიკის არმიაში — ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. შარშან „პროვაიდ კომფორტ" ოპერაციას ხელმძღვანელობდა, რომლის მიზანი იყო ასიათასობით ლტოლვილი ქურთის დაბრუნება ჩრდილოეთ ერაყში.

ნატოს წრეებში შალიკაშვილის დანიშვნა ამ კავშირის უმაღლეს სამხედრო თანამდებობაზე იდეალურ არჩევნად მიაჩნიათ. აღმოსავლეთ ევროპიდან გამოსული, იგი მშვენივრად იცნობს ძველი კონტინენტის პრობლემებსა და ფსიქოლოგიას. როგორც თვითონ ამბობს, განზრახული აქვს გააფართოოს ნატოს თანამშრომლობა ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან.

კასტოში მოწყობილი ცერემონიის მერე გამართულ პრესკონფერენციაზე შალიკაშვილმა თქვა, რომ ევროპისათვის მთავარ საფრთხედ მიაჩნია ეთნიკური კონფლიქტები, რომლებიც კომუნისტური რეჟიმების მსხვრევას მოჰყვა. / ვიდრე ეს კონფლიქტები არ ჩაცხრება, მომავალი თაობებისათვის მყარი უსაფრთხოების შექმნის იმედი არ უნდა გვქონდეს. მან შესაძლებლად მიაჩნია „ჩრდილო ატლანტიკის" ჯარის გაგზავნა ბალკანეთში. შეერთებული შტატები ამჯობინებენ იმოქმედონ იუგოსლავიაში ნატოს ფარგლებში იმ პირობით, თუ კავშირს სათანადო თხოვნით მიმართავენო, თქვა გენერალმა. მაგრამ თუ ასეთი ჩარევა შეუძლებელი გახდა იმის გამო, რომ ზოგი მოკავშირე ამის წინააღმდეგ გამოვა, ვაშინგტონი შექმნის იმის მსგავს საერთაშორისო კოალიციას, რომელიც „უდაბნოში ამოვარდნილი ქარიშხლის" ოპერაციის დროს შეიქმნა ქუვეითის გასათავისუფლებლად.

გენერალი შალიკაშვილი ამავე დროს ევროპაში განლაგებული ამერიკის ჯარების მთავარსარდლის მოვალეობასაც შეასრულებს. ამას იუწყება გაზეთი „იზვესტია".

ზ. გამსახურდიას ფინეთში ჩასვლის ნება დართეს

ჰელსინკი. (იტარ-საკდესი). ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა საზოგადოება „ფინეთი-საქართველო"-ს შუამდგომლობა გადაესინჯათ ფინეთში ზვიად გამსახურდიას ჩასვლის ვადები იმ ვარაუდით, რომ დაეჩქარებინათ მისი ჩასვლა, და მიიღო გადაწყვეტილება მისცენ მას ვიზა 12 ივლისიდან ორი კვირით.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თავდაპირველად ვიზის მოქმედების ვადა ძალაში შედიოდა 15 ივლისიდან. თვითონ გამსახურდია კი ფინეთში ჩასვლას აპირებდა 1 ივლისს, რათა ჰელსინკში ყოფილიყო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა შეხვედრის დროს, რომელიც აქ 9-10 ივლისს გაიმართება. ამას თხოვდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოება „ფინეთი-საქართველო" და ფინეთის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი, რომელმაც იგი ფინეთში მიიწვია.

კონკურენცია რუსეთის ტახტისთვის

როგორც პარიზიდან იუწყებიან, რუსეთის ტახტზე პრეტენზიები აქვს სამოცდაათი წლის მთავარ ნიკოლას რომანოვს — იტალიაში მცხოვრებ მიწათმფლობელს.

მისმა წარმომადგენელმა ჯორჯ ივანოვმა განაცხადა, რომ ნიკოლასი აპირებს სერიოზული კონკურენცია გაუწიოს მარიამს — ამას წინათ გარდაცვლილი დიდი მთავრის ვლადიმერ კირილეს ძის ქალიშვილს. თანაც ამტკიცებს, რომ XVIII საუკუნის მიწურულიდან საგანგებო გადაწყვეტილებით მეფის გვარის ქალებს ჩამოერთვათ ტახტის მემკვიდრეობის უფლება. მარიამის მომხრენი პასუხად აცხადებენ, ნიკოლასი მეფე ვერ იქნება, რადგან უგვარტომო ცოლი ჰყავსო.

მილიარდი ავანსი რუსეთს

როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, რუსეთი უახლოეს ხანს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მილიარდ დოლარს მიიღებს.

ამან თავისებურად უნდა წაახალისოს ეკონომიკური რეფორმის ახლანდელი ეტაპი, განაცხადა ამერიკის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა. ამასთანავე მან დასძინა, „თუ რუსეთი ამ მილიარდს მიიღებს, მაგრამ კარდინალურ რეფორმებს არ განახორციელებს, რომლებსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოითხოვს, დანარჩენ ფულს ვეღარ მიიღებსო".

კოლმეურნეობას სტალინის სახელი მიაკუთვნეს

ტაჯიკეთის ლენინაბადის ოლქის პენჯიკენტის რაიონში ამას წინათ შექმნილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სტალინის სახელი მიაკუთვნეს.

საწარმოს კომისიამ, რომელშიც ომისა და შრომის ექვსი ვეტერანია, ეს გადაწყვეტილება ეროვნული უშიშროების კომიტეტის, შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებში და რაიალმასკომში ხანგრძლივი დისკუსიებისა და კონსულტაციების შემდეგ მიიღო.

„სოვეტსკაია როსია" გააფრთხილეს

რუსეთის ფედერაციის ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის სამინისტრომ გააფრთხილა გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" რედაქცია.

ეს გაკეთდა იმ უფლებამოსილების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ კანონის პირველი მუხლიდან. ამის საბაბი გახდა „სოვეტსკაია როსიაში" გამოქვეყნებული სტატიები „ოსტანკინო". 22 ივნისი, დილის ოთხის ნახევარი..." და „დედამ თვალწინ მოუკლეს შვილი". რომლებშიც ლაპარაკია „ოსტანკინოს" ტელეცენტრის მოკლულ მოპიკეტეებზე. როგორც ცნობილია ეს ცნობები ოფიციალურად უარყვეს, რადგან მართალი არ გამოდგა.

როგორც ამბობენ

რადიოსადგური „ამერიკის ხმა": როგორც შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა წარმომადგენელმა განაცხადა, არავითარი კონკრეტული საბუთი არ არის იმისა, რომ ამერიკელი სამხედრო ტყვენი ვიეტნამში იყვნენ ამ ქვეყანაში ომის დამთავრების შემდეგ.

რადიოსადგური „გერმანული ტალღა": იაპონიამ და რუსეთმა გააუქმეს განზრახული სამუშაო შეხვედრა, რომლის დროსაც უნდა განეხილათ სამხრეთ კურილიის კუნძულების გამო დავის მოგვარების გზები.

კარიკატურისტის კომენტარი



ყოველკვირეული „ნოვოე ვრემია".

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის და აკად. დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტებთან არსებული

თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. **იურიდიული** — „სამართალმცოდნეობა“.
2. **ფსიქოლოგიის** — ფსიქოლოგია“.
3. **სოციოლოგიის** — „სოციოლოგია“.
4. **ეკონომიკის** — „საბაზრო ეკონომიკა და ბიზნესი“ (მარკეტინგის მენეჯერი); „წარმოების ეკონომიკა და მართვა“ (წარმოების მენეჯერი); „შრომის ეკონომიკა“ (პერსონალის მენეჯერი).

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში, შემდეგი თანმიმდევრობით:

იურიდიულ ფაკულტეტზე: „სამართალმცოდნეობა“ (ზეპირი); „ქართული ენა და ლიტერატურა“ (წერა).

ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე „საქართველოს ისტორია“ (ზეპირი); „ქართული ენა და ლიტერატურა“ (წერა).

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის შეუზღუდავად. ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.

აბიტურიენტებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ თან უნდა დაურთონ:

— საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (დანართთან ერთად).

— სამედიცინო ცნობა (ფორმა 086).

— 6 ფოტოსურათი (3X4).

პასპორტის წარმოდგენა აუცილებელია საბუთების ჩაბარებისა და გამოცდებზე გასვლის დროს.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის მიმღები კომისიის სამდივნოს მიერ 6 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით ყოველდღე (გარდა კვირისა) 13-18 საათამდე.

გამოცდები დაიწყება 21 ივლისიდან.

მისაღები გამოცდების ორგანიზაციასთან დაკავშირებით აბიტურიენტებმა უნდა გადაიხადონ 200 მანეთი. აღნიშნული თანხა ჩაჭრილ აბიტურიენტებს არ დაუბრუნდებათ.

ინსტიტუტში აბიტურიენტები ჩაირიცხებიან მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსის წესით. ზეპირი და წერითი გამოცდების შეფასება მოხდება 10-ქულიანი სისტემით.

გამოცდები მოეწყობა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული მისაღები გამოცდების პროგრამებით. განრიგით დანიშნულ გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში აბიტურიენტი მომდევნო გამოცდაზე არ დაიშვება.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია. **1992-93 სასწავლო წლის (1 კურსი) სწავლების ღირებულება შეადგენს 8.000 მანეთს (სწავლის საფასური შემდგომი პერიოდისათვის განისაზღვრება ინფლაციის დონის შესაბამისად).** სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით (საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიულ პირთა მიერ), ასევე ნაღდ ანგარიშზე. ინსტიტუტში ჩარიცხულნი სწავლის ღირებულებას იხდიან ჩარიცხვიდან 10 დღის განმავლობაში.

აბიტურიენტებსა და მათ მშობლებთან შეხვედრის მიზნით ინსტიტუტი აწყობს ღია კარის დღეს 20 ივლისს 18 საათზე ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.

ინსტიტუტის მისამართია:
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 24-ა, 101-ე საშ. სკოლა.
საკონტაქტო ტელეფონები:
29-59-64; 95-09-61; 95-09-45.

თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის მიმღები კომისია.

საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

საქართველოს ისტორია — 50 ადგილი, სამართალმცოდნეობა და სოციოლოგია — 50, ხელოვნებათმცოდნეობა — 25, გარემოს დაცვა და ეკოლოგია — 50, ფსიქოლოგია და პედაგოგიკა — 25, ტურიზმის მართვა და ორგანიზაცია — 25, ეკონომიკა: საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა — 25; სამრეწველო წარმოების მენეჯერი — 25; ფინანსურ-საბანკო მენეჯერი — 25; ვაჭრობის ეკონომისტ-კომერსანტი — 25 ადგილი.

ეკონომიკის ფაკულტეტზე აბიტურიენტებს ჩაუტარდებათ გასაუბრება მათემატიკური ტესტირების წესით, ხოლო დანარჩენ სპეციალობებზე ჩასარიცხი კონტინგენტი გამოვლინდება გასაუბრებით საქართველოს ისტორიაში. ვაკანტური ადგილების შევსების შემთხვევაში საბუთების მიღება შეწყდება ვადაზე ადრე. სპეციალობასთან ერთად სტუდენტები დაეუფლებიან ერთ-ერთ უცხო ენას, მათი არჩევანის შესაბამისად.

ღია უნივერსიტეტში მიიღებიან საშუალო განათლების მოქალაქეები მიუხედავად ასაკისა, ფიზიკური და სოციალური მდგომარეობისა, მათ შორის ლოგინს მიჯაჭვული ავადმყოფები, რომლებსაც სურვილი აქვთ დაეუფლონ მათთვის სასურველ მეცნიერებას.

არჩეული სპეციალობის მთელი კურსის შესწავლა ინდივიდუალურია, იგი განისაზღვრება 4 აკადემიური წლით, სწავლის დამთავრება აღინიშნება კონვერტირებული დიპლომის მინიჭებით.

წარჩინებული სტუდენტები 1-2 წლით გაცვლის წესით შეიძლება მივავლინოთ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

უნივერსიტეტში სწავლა ფასიანია. ფასი ნაღდ ანგარიშზე შეადგენს 8 ათას მანეთს, ხოლო გადარიცხვით — 10 000 მანეთს (სავარაუდოდ ცვლილებები ინფლაციური პროცესების შესაბამისად). სწავლის გადასახადისაგან თავისუფლდებიან: პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, გარკვეული შეღავათები მიენიჭებათ უპატრონო ბავშვთა სახლში აღზრდილ ბავშვებს და მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენლებს, აგრეთვე ობოლ ბავშვებს.

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება, განათლების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4 ცალი ფოტოსურათი (3X4), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

საბუთების მიღება 4 ივლისიდან 4 აგვისტომდე 10-დან 16 საათამდე, ყოველდღე (გარდა კვირისა).

5 აგვისტოდან 12 აგვისტომდე მოეწყობა გასაუბრება. ბრძანება ჩარიცხვის შესახებ გამოქვეყნდება 15 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ღია უნივერსიტეტის მისამართია: თბილისი, დოლიძის ქ. № 8, II სართული, ტელეფონი 36-16-30.

ტრანსპორტი: მეტრო „პოლიტექნიკური“, ავტობუსი: 2, 21, 27, 35, 69, 214, 220, ტროლეიბუსი: 12, 4, 5, 6, 13, 14.

თბილისის უცხო ენების დამოუკიდებელი ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენის მასწავლებელი.

ინგლისური ენის ფაკულტეტზე გათვალისწინებულია თარჯიმან-რეფერენტის ჯგუფის გახსნა.

როგორც მეორე სპეციალობას, სტუდენტები შეისწავლიან აგრეთვე ერთ-ერთ უცხო ენას — ინგლისურს, ესპანურს ან თურქულს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ ორი უცხო ენის სპეციალობის დიპლომს.

ინსტიტუტი სამეურნეო ანგარიშზეა. სასწავლო წლიური გადასახადია 10.000 მანეთი.

მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტები აბარებენ უცხო ენას და მშობლიურ ენას (წერა).

აბიტურიენტმა მიმღებ კომისიაში რექტორის სახელზე უნდა შემოიტანოს განცხადება და დაურთოს შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 086), 6 ფოტოსურათი, (3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. გამოცდების სამეურნეო ხარჯების დასაფარავად აბიტურიენტმა უნდა გადაიხადოს 150 მანეთი. პასპორტს და სამხედრო ბილეთს აბიტურიენტები წარმოადგენენ პირადად.

საბუთების მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა). 6 ივლისიდან 15 ივლისამდე 11-დან 15 საათამდე.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი 45, ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, II კორპუსი, ოთახი № 204, ტელეფონი: 29-42-87.

გამოსათხოვარი

ბესიკ ქუთათელაძე

ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე, 34 წლის გვარდიის პოლკოვნიკი ბესარიონ (ბესიკ) ქუთათელაძე.

მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ ნათელი ცხოვრება მან სამშობლოსა და ხალხის სამსახურს მოახმარა.

ბესიკ ქუთათელაძე ეკუთვნოდა თავისუფალი საქართველოს წარმომადგენელთა იმ ბრწყინვალე კოჰორტას, რომელმაც ეროვნული გვარდიის შექმნაში აქტიური მონაწილეობით საფუძველი ჩაუყარა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. თერჯოლის მკვიდრი ბესიკ ქუთათელაძე საჩხერეში სწავლისა და თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის საავიაციო სპეციალობის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ჯარში და აქედანვე ეზიარა სამხედრო საქმეს.

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის პარალელურად თავად ბრწყინვალე სპორტსმენმა — ძიუდოისტმა, სპორტის ოსტატმა მწვრთნელის მოვალეობაც იტვირთა და მამულს ბევრი სახელოვანი ჩემპიონი აღუზარდა.

დიდია ბესიკ ქუთათელაძის წვლილი საქართველოში პირველი ეროვნული გვარდიის ფორმირებაში. იგი ამ გვარდიის მებრძოლთა ერთ-ერთი თვალსაჩინო მეთაური იყო.

ბესიკ ქუთათელაძის საუკეთესო ადამიანური თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა შარშან საჩხერის რაიონში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის დროს, როდესაც იგი მისთვის ჩვეული შეუპოვრობით წარმართავდა მაშველთა მოქმედებას და აღდგენითი სამუშაოების მთელ კომპლექსს.

ბესიკ ქუთათელაძე ბოლო წლების ურთულეს მოვლენათა ქარ-ცეცხლში ტრიალებდა. ყოველთვის პირნათლად ასრულებდა მთავრობის და მისი შეიარაღებული ძალების უფროსის დავალებას. იგი იყო უაღრესად თავმდაბალი, პრინციპულად მიმტევებელი, მზრუნველი პიროვნება, სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტი. მისი სახელი მუდამ იცოცხლებს ქართველი ხალხის ხსოვნაში.

თენგიზ კიტოვანი, ავთანდილ ცქიტიშვილი, ნოდარ გიორგაძე, ვანო ბურჯენიძე, ზურაბ დათუაშვილი, თამაზ დუმბაძე, ანზორ მაისურაძე, ლევან შარაშენიძე, თამაზ ცხაკაია.

თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს განყოფილებათა შემდეგ სპეციალობებზე:

1. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები**
2. **საფინანსო-საბანკო საქმიანობა**
3. **წარმოების ეკონომიკა**
4. **კომერციული საქმიანობის მენეჯერი**
5. **საბირჟო საქმე**
6. **ბიზნესის სამართალმცოდნეობა**
7. **ისტორია**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. **განცხადება რექტორის სახელზე**
2. **ატესტატი ან საშუალო სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი)**
3. **ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან**
4. **სამედიცინო ცნობა — ფორმა № 086 უ**
5. **ოთხი ფოტოსურათი (3X4)**
6. **მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად**

აბიტურიენტთა მიღება ხდება ტესტების (გასაუბრების) მიხედვით შემდეგ საგნებში:

1. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე — ქართულში, მათემატიკასა და უცხო ენაში.
2. საფინანსო-საბანკო საქმიანობის, წარმოების ეკონომიკის, კომერციული საქმიანობის მენეჯერის, საბირჟო საქმის სპეციალობებზე — ქართულში, მათემატიკასა და გეოგრაფიაში.
3. ბიზნესის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე ქართულში, სამართალმცოდნეობასა და ისტორიაში.
4. ისტორიის სპეციალობაზე —ქართულში, ისტორიასა და უცხო ენაში.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ მენეჯერის კვალიფიკაცია საწარმოს, კომერციული, საბანკო და სხვა საქმიანობაში, აგრეთვე მომზადდება საგარეო ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობებისათვის მაღალკვალიფიციური ეკონომისტები, იურისტები და ისტორიკოსები. ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. სწავლის საფასურის გადახდა შეუძლიათ როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით, მისაღებ გამოცდაზე (გასაუბრებაზე) დაიშვება ყველა, ვისაც აქვს საშუალო განათლება; ხოლო ის პირები, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს, ჩაირიცხებიან უგამოცდოდ (გასაუბრების გარეშე).

სწავლების ვადა 5 წელია. სწავლების მაღალ დონეზე წასამართავად ინსტიტუტში მოწვეული არიან თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფესორ-მასწავლებლები, ლექციებს წაიკითხავენ აგრეთვე მარკეტინგისა და ბიზნესის, მენეჯმენტისა და საბაზრო ეკონომიკის ცნობილი საზღვარგარეთელი სპეციალისტები.

წარჩინებული სტუდენტები წახალისდებიან სხვადასხვა ფორმით: სტიპენდით, სტაჟირება-პრაქტიკა საზღვარგარეთ და სხვა.

ჩარიცხული სტუდენტები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისგან.

საბუთებს ვღებულობთ 20 ივლისამდე ყოველდღე (გარდა კვირისა) 10-დან 15 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, მირცხულავას ქ. № 4, 22-ე საშ. სკოლის შენობაში, ტელეფონი: 34-18-59, 34-38-09.

ტრანსპორტი: მეტრო დიდუბე, ტრამვაი № 10, ტროლეიბუსი № 19, ავტობუსი — 1, 43, 151, 209, 210, 215.

სწავლის მსურველთათვის

ხელოვნების მენეჯერთა უმაღლესი სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე.

1. ხელოვნებათმცოდნეობა;
2. თეატრმცოდნეობა;
3. კინომცოდნეობა;
4. მუსიკათმცოდნეობა;
5. ქორეოგრაფია;
6. ტელევიზია;
7. ლიტერატურა და საგამომცემლო საქმიანობა;
8. სამუზეუმო საქმიანობა;
9. დიზაინი და მხატვრული მოდელირება;
10. ხალხური რეწვა და ყოფითი კულტურა.

სწავლა წარიმართება ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური საგნებით, თქვენ შეისწავლით საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს, ბიზნესის ხელოვნებას, მარკეტინგს, მენეჯმენტს, ინფორმატიკას, გაძლიერებულად — უცხო ენებს, იურიდიულ დისციპლინებს, საავტორო უფლებებსა და საპატენტო სამართლის საფუძვლებს, თანამედროვე მენეჯერის ფსიქოლოგიას და საქმიან ურთიერთობებს.

სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელია, უმაღლეს სასწავლებელში მიიღებიან არაქართული სკოლადამთავრებულებიც, სპეციალობების უკეთ ათვისების მიზნით ჩვენთან იწარმოებს ქართული ენისა და ლიტერატურის გაძლიერებული სწავლება, რომელსაც უხელმძღვანელებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები;

წარჩინებული სტუდენტები სწავლას გაივლიან საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სტუდენტს მიენიჭება ხელოვნების ამა თუ იმ სფეროს ექსპერტისა და მენეჯერის კვალიფიკაცია.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები ორმოც წლამდე.

გამოცდები ეწყობა შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
2. საქართველოს ისტორია (ზეპირი);
3. უცხო ენა (გასაუბრება).
4. კომპოზიცია — სპეციალობების მიხედვით.

უმაღლესი სასწავლებელი სრულ სამეურნეო ანგარიშზეა, წლიური შესატანი 10 000 მანეთი, როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშით. საბუთების მიღება ყოველდღე 14 ივლისის ჩათვლით.

გამოცდები მოეწყობა 15 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით.

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ატესტატი ან დიპლომი — დედანი (დანართით);
2. სამედიცინო ცნობა 086 უ;
3. ოთხი ფოტოსურათი (3X4);
4. პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთების ჩაბარებისთანავე აბიტურიენტი იხდის 200 მანეთს საორგანიზაციო ხარჯებისათვის.

ჩვენი მისამართია: ქალაქ თბილისის დიმიტრი უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩა, 68 (რესპუბლიკის განათლების სამინისტროს II კორპ. ეზოში).

ცნობებისათვის და კონსულტანციებისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 95-70-01; 14-დან 17 საათამდე.

ხელოვნების მენეჯერთა უმაღლესი სასწავლებლის რექტორატი.

თბილისის პოლიტოლოგიის, რელიგიათმცოდნეობის და სოციოლოგია-ადამიანთმცოდნეობის დამოუკიდებელი სასწავლო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. **პოლიტოლოგია,** განხრები: ა) პოლიტოლოგია, ბ) საერთაშორისო ურთიერთობის თეორია და პრაქტიკა, გ) პოლიტიკური პროცესების ანალიტიკოსი, (მრჩეველი, პოლიტოლოგ-ჟურნალისტი).
2. რელიგიათმცოდნეობა;
3. სოციოლოგია-ადამიანთმცოდნეობა, განხრები: ა) საბაზრო ეკონომიკის სოციოლოგია; ბ) ჯანმრთელობის დაცვის სოციოლოგია, გ) სოციოლოგია-ადამიანთმცოდნეობა, დ) სამედიცინო და სოციალური ფსიქოლოგია.

სწავლის ხანგრძლივობა ხუთი წელია, მეცადინეობები ეწყობა ქართულ ენაზე, სწავლა ფასიანია.

სამივე სპეციალობის მიზანია აღზარდოს თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის საფუძვლებს დაუფლებული ახალგაზრდები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით გარკვეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი ხალხის სულიერ აღორძინებაში, მისი პოლიტიკური დონის ამაღლებასა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის განმტკიცებაში.

საზოგადოების მმართველი დაწესებულებების (საკრებულო, მერია, საერთოდ ყველა ტიპის დემოკრატიული ორგანიზაცია), ჯანმრთელობის დარგის მუშაკებთან ერთად, ინსტიტუტი მოამზადებს ლექტორებსა და მასწავლებლებს უმაღლესი და საშუალო სკოლებისათვის.

სპეციალობის მაპროფილებელ დისციპლინათა დონეზე სტუდენტები შეისწავლიან ერთ უცხო ენას (უცხო ენებში რუსული ენაც იგულისხმება). ენა ისწავლება ხუთი წლის განმავლობაში და მთავრდება სახელმწიფო გამოცდით. სწავლაში წარჩინებულ და მეცნიერული კვლევისადმი მიდრეკილების მქონე ახალგაზრდებს შეექმნებათ ყველა პირობა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

აბიტურიენტები გადიან გასაუბრებას სპეციალობაში, აბარებენ გამოცდებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში და საქართველოს ისტორიაში.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე პირები.

მეცადინეობები ჩატარდება თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, კორპუსი I, სართული მეორე.

საბუთები მიიღება ყოველდღე 25 ივლისამდე, (გარდა შაბათისა და კვირისა), 10-დან 14 საათამდე.

ჩვენი მისამართია: თბილისის მე-60 საშუალო სკოლა: ალ. ყაზბეგის გამზირი 32 (ყოფილი პავლოვის ქუჩა), ტრანსპორტი: მეტროს სადგური „დელისი“, ტროლეიბუსი № 4, 5, 18. ავტობუსი № 2. ტელ.: 39-21-78.

ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს რექტორატისა და დეკანატის წარმომადგენლები შეხვდებიან აბიტურიენტებსა და მათს მშობლებს. დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

რექტორატი.

თბილისის კომერციული თეატრალური ხელოვნების კოლეჯი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: სახალხო თეატრისა და კინოს მსახიობი, სახალხო თეატრის რეჟისორი.

კოლეჯში ისწავლება მხოლოდ სპეციალური საგნები. საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები წარმოდგენილი იქნება კოლეჯის სასწავლო თეატრისა და სახელმწიფო აკადემიური თეატრების სცენებზე.

კოლეჯში პედაგოგებად მოწვეული არიან ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი ვარსკვლავები, პოპულარული კომპოზიტორები, ქორეოგრაფები და შესაბამისი დარგის პრაქტიკოს-სპეციალისტები.

კოლეჯში მიიღებიან მხოლოდ ისინი, ვისაც სურს ჭეშმარიტად გახდნენ ქართული სახალხო თეატრებისა და კინოს მსახიობები, რეჟისორები, ჭეშმარიტი პროფესიონალები, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ასევე — X-XI კლასის მოსწავლეები. ჩარიცხვა მოხდება გასაუბრება-კონკურსის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე.

კოლეჯში სწავლების ხანგრძლივობა 2 წელია. სწავლების (მტკიცე) ფასია 7000 მანეთი ყოველწლიურად. სწავლის საფასურის გადახდა შეიძლება მოხდეს საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიული პირების მიერ გადარიცხვის წესით, აგრეთვე ინდივიდუალურად ნაღდ ანგარიშზე.

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს: 1. განცხადება კოლეჯის დირექტორის სახელზე, 2. საშუალო განათლების ატესტატი ან ცნობა სკოლიდან, 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. 086 უ); 4. ფოტოსურათი 3X4 და საბუთების შეტანის დღეს გადაიხადოს 120 მანეთი კოლეჯის ანგარიშზე.

საბუთების მიღება ყოველდღე (კვირის გარდა) 13-დან 19 საათამდე. ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის გამზირი, 127. ტელეფონი: 95-64-08.

შალვა მშვილდაძე

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, სამედიცინო სამსახურის თადარიგის მაიორი შალვა ვარლამის ძე მშვილდაძე.

იგი დაიბადა 1918 წელს, სოფელ ბაღდათში. 1940 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო მშობლიურ რაიონში ჯერ სოფელ ფერსათის, ხოლო შემდეგ საკრაულას საექიმო ამბულატორიის გამგედ. იყო მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და უმაღლესი მთავარსარდლის ჩვიდმეტი მადლობა. ომის შემდეგ მუშაობს ქ. ქუთაისის № 1 საავადმყოფოში ექიმ ორდინატორად, 1992 წელს გადაჰყავთ ბაღდათის რაიონში, სადაც ჩვიდმეტი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სამედიცინო დარგს. თითქმის ნახევარი საუკუნე შ. მშვილდაძეს არ შეუწყვეტია მუშაობა ქირურგიაში და ითვლებოდა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთი ჯილდო და მადლობა მიიღო, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის იყო ადამიანების ჯანმრთელობა, რომელსაც იგი ემსახურებოდა მთელი თავისი ნიჭითა და უნარით, არაჩვეულებრივი გულისხმიერებით. აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდების სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში.

წავიდა ჩვენგან ქართველი ხალხის ღირსეული შვილი, დიდი სულისა და მაღალი ზნეობის ადამიანი, რომლის ხსოვნას სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს რესპუბლიკის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა ამოწმებს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესრულების მდგომარეობას.

ალნიშნულთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს ვთხოვთ მოგვაწოდონ ინფორმაცია ზემოხსენებული კანონის დარღვევათა შესახებ. ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია: 93-35-89, 98-21-78.

---

6 ივლისს კინოს სახლში გაიმართება საქართველოს ახალგაზრდული საქველმოქმედო სამეცენატო ფონდის „ახალი საქართველოსათვის“ დამფუძნებელი კონფერენცია.

რეგისტრაცია იწარმოებს 9 საათსა და 30 წუთიდან. გახსნა 10 საათზე; დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 87-53-30; 99-70-64; 87-27-00.

ვიქტორ რცხილაძე
სულთა გამოცხადებანი და სპირიტიზმი

გამომცემლობა „სამშობლომ“ გამოსცა საინტერესო ნაშრომი: **„სულთა გამოცხადებანი და სპირიტიზმი ბიბლიისა და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რწმენის სამსჯავროზე“.** წიგნის ავტორია ჟურნალ „რელიგიის“ მთავარი რედაქტორი ვიქტორ რცხილაძე. თეისტური პოზიციებიდან დაწერილი ამდაგვარი სახის ნაშრომი პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე.

წიგნის შეძენა შეგიძლიათ: საფირმო მაღაზია „მერანში“ — რუსთაველის 42; მაღაზია „საუნჯეში“ — რუსთაველის 28; მაღაზია „სამშობლოში“ — კოსტავას 14; ჟურნალისტთა კავშირში — ერეკლეს მოედანზე.

ნინო მამალაძე.

თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლის განყოფილებების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

იურიდიული ფაკულტეტი — სამართალმცოდნეობა (ქართული და რუსული ჯგუფები)

ეკონომიკის ფაკულტეტი — საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სპეციალობის მენეჯერი; წარმოების მენეჯერი (ქართული, რუსული), საფინანსო-საბანკო საქმიანობის მენეჯერი, კომერციული საქმიანობის მენეჯერი.

ფილოლოგიის ფაკულტეტი — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (არაქართული სასწავლო დაწესებულებისათვის).

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკ[illegible] მიუხ[illegible] ტუტ[illegible] ტურიენტი სარგებლობს [illegible] ბარი უფლებით, გარდა საშუალო განათლების მქონე ფრიადოსანი მოსწავლისა, რომლებიც უგამოცდოდ (გასაუბრების წესით) ჩაირიცხებიან მათთვის გამოყოფილი 25 პროცენტის კვოტის ფარგლებში შესაბამის სპეციალ[illegible]ზე.

გამოც[illegible] ჩატარდება შემდეგ საგნებში: **ეკონომისტ-მენეჯერის** სპეციალობაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); მათემატიკა (ზეპირი). სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები (ზეპირი). **ქართული ენისა და ლიტერატურის** სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); საქართველოს ისტორია (ზეპირი).

ინსტიტუტში იურიდიული და ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის. სწავლება ორციკლიანია. პირველ ციკლში სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია, მეორეში — 2 წელი. უმაღლესი განათლების დიპლომებს მიიღებს როგორც მეორე, ასევე პირველი ციკლის კურსდამთავრებულები.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია.

ინსტიტუტში შემსვლელებმა [illegible] ერთად უნდა [illegible] საშუალო გა[illegible] [illegible] ცნობა (ფორმა № 086), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. 4. 6 ცალი ფოტოსურათი (3X4), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (საჭიროების შემთხვევაში.

საბუთების მიღება — ყოველდღე 20 ივლისამდე, 10-დან 15 საათამდე. გამოცდები მოეწყობა 20 ივლისიდან.

ინსტიტუტის მისამართი:
ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 1.
ტელეფონი: 37-12-33;
37-63-81.

რექტორატი.

საქართველოს ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **აგროსამრეწველო წარმოების ორგანიზაცია და ბიზნესი** (კვალიფიკაციები: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზატორ-ბიზნესმენი, კვების მრეწველობის ორგანიზატორ-ბიზნესმენი, აგროსერვისის ორგანიზატორ-მენეჯერი, სატყეო მეურნეობის ორგანიზატორ-მენეჯერი).
2. **საფინანსო-საბანკო მეურნეობის** [illegible] **და მენეჯმენტი** (კვალიფიკაცია: საფინანსო-საბანკო მეურნეობის ორგანიზატორ-მენეჯერი.
3. **კომერციული და საბირჟო საქმის ორგანიზაცია და მენეჯმენტი** (კვალიფიკაციები: კომერციული და სავაჭრო საქმის ორგანიზატორ-მარკეტოლოგი, საბირჟო საქმის ორგანიზატორ-მენეჯერი).
4. **კვების მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი** (კვალიფიკაციები: ღვინის მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი, ჩაის მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი, საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი; ხორცისა და რძის მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი; თევზის მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი, პურ-პროდუქტებისა და საკონდიტრო მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი, მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ტექნოლოგ-მენეჯერი; კომბინირებული საკვების მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი).
5. **საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაცია და მენეჯმენტი** (კვალიფიკაცია: საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზატორ-მენეჯერი.
6. **სამარკეტინგო და სამეურნეო სამართალი და მენეჯმენტი** (კვალიფიკაცია: სამარკეტინგო და სამეურნეო სამართლის იურისტ-მენეჯერი).
7. **საკურორტო და ტურისტული მეურნეობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი** (კვალიფიკაციები: საკურორტო მეურნეობისა და რეკრეაციის ორგანიზატორ-მენეჯერი, ტურისტული სამსახურის ორგანიზატორ-მენეჯერი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები (15 აგვისტომდე).

განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (თუ მუშაობს), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამედიცინო ცნობა (ფორმა 086), ოთხი ფოტოსურათი (3X4), პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

აბიტურიენტთა მიღება მოხდება ტესტირების (გასაუბრების) საფუძველზე შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, გეოგრაფია.

პირველი კურსის სასწავლო წლის გადასახადია: 1, 2, 3, 5, 6, 7 სპეციალობებზე ნაღდად 9000 მანეთი, ან გადარიცხვით 12000 მან. მე-4 სპეციალობაზე შესაბამისად: 9500 და 12500 მან., გასაუბრების ორგანიზაციისათვის აბიტურიენტი იხდის 200 მან.

მისამართი: **თბილისი, ჩიქოვანის (ყოფილი ხოლიანის) ქ. 26, 150-ე საშუალო სკოლის შენობა, ტელეფონები: 36-44-60, 36-33-78, 22-64-24 (რექტორის).**

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: [illegible]
[illegible]

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

[illegible]

ინდექსი 64432